ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 6 ივლისი 2002 №124 (1646) ფასი 50 თეთრი


# საქართველოში კანონი ბურთივით მრგვალია

## უზენაესმა სასამართლომ პატარკაციშვილს მოგება წაუთვალა



თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ ჯონი გიგანს თავისად დაეგულებინა, მით უფრო, კლუბის ახლანდელ მეპატრონეებს საკასაციო საჩივრის უზენაეს სასამართლოში შეტანა კანონით არ შეეძლოთ. ასე კი ამტკიცებენ ახლა გიგანის ადვოკატები, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ „პატარკაციშვილის დინამოს“ საჩივარიც მიიღო, გუშინ განაჩენიც ათ წუთში გამოიტანა და დაადგინა — „დინამოს“ კანონიერი მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილი და მისი გუნდიაო.

უზენაესის სამართალი პურს ასე იოლად ვერ შეჭამსო, თქვა გუშინ ჯონი გიგანმა და თავის უფლებების დასაცავად სტრასბურის სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.



THE CHAMPIONSHIPS WIMBLEDON

# ინგლისი ტრადიციების ტყვეა

## ჰენმანი — ნახევარფინალის



ტიმ ჰენმანმა ზედიზედ მეოთხედ წააგო უიმბლდონის ნახევარფინალი

REUTERS უიმბლდონიდან



ლეიტონ ჰიუიტის გამჩერებელი კაცი არა ჩანს


ჯონი გიგანი და როინ მიგრიაული

# უზენაესმა თბილისის დინამო პატარკაციშვილს დაუმტკიცა

## ჯონი გიგანი სამართლს სტრასბურში იპოვის

**ისევ** სასამართლოს სხდომა, ხმაურიანი და სკანდალური... უზენაესი სასამართლოს გუშინდელმა პროცესმა დამარცხებული და გაოგნებული დატოვა ორი თვის წინანდელი ტრიუმფატორი, ბიზნესმენი ჯონი გიგანი...

ყველაფერი 20 თვის წინ დაიწყო — ჯონი გიგანმა მერაბ რატიანისგან შპს „ბერმუხა" იყიდა „დინამოს" დამფუძნებლის 80 პროცენტიან საკონტროლო პაკეტთან ერთად. მერე კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ 100 პროცენტით გაიფორმა „დინამო" და ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილს მიჰყიდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა გიგანი ასპარეზზე და „დინამოში" თავისი უფლებების მოსაპოვებლად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა კლუბის რეგისტრაციის მოთხოვნით. რაიონულმა სასამართლომ გიგანის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ბიზნესმენმაც საოლქოში გადაიტანა საქმე. ამ ინსტანციის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, შპს „თბილისის დინამოს" კანონიერ მეპატრონედ ჯონი გიგანი გამოცხადდა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მაშინ იყო, პროცესის მოგებით გახარებულმა გიგანმა გაოცებით რომ თქვა, არ მეგონა, ამ ქვეყანაში სამართალი თუ იქნებოდაო. დღეს კი გიგანი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ქვეყანა ჩალით არის დახურული... უზენაესი სასამართლოს გუშინდელ პროცესზე გიგანს სკანდალურად გამოაცალეს ხელიდან „დინამო". ბიზნესმენი სამართლის საძებრად სტრასბურისკენ იყურება...

***ჯონი გიგანი:*** მომხდარით გაოგნებული ვარ. ამ ყვარყვარეების ქვეყანაში სამართლის პოვნა წყლის ნაყვა ყოფილა. უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც კანონის გათვალისწინებით არც კი ჰქონდა საკასასიო საჩივრის განხილვის უფლება, რეგისტრაციაზე უარი გვითხრა. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთება მსურს, რის საშუალებასაც არ მაძლევენ. ვიცი, სამართალს აქ ვერ ვიპოვი და იძულებული ვარ, სტრასბურის სასამართლოს მივმართო.

გუშინვე ჯონი გიგანის ადვოკატს, 18 აპრილის საოლქო სასამართლოს პროცესის მომგებ ***როინ მიგრიაულს*** დავუკავშირდით:

— უზენაესმა სასამართლომ სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში. ეს მუტანტების სასამართლო ყოფილა, რომელიც წარბშეუხრელად ახორციელებს დაკვეთებს, პროცესს, რომელიც არც კი უნდა გამართულიყო და უამრავი დარღვევით ჩატარდა. სამწუხაროდ, არ დავსწრებივარ, მაგრამ ვერც ვერაფერს შევცვლიდი. ყველაფერი წინდაწინ იყო გადაწყვეტილი. ჩვენ სიმართლის დამტკიცების ერთადერთ გზად სტრასბურის სასამართლო გვრჩება.

უზენაეს სასამართლოში გუშინ გამართულ სხდომაზე ჯონი გიგანის ინტერესებს ადვოკატი **ზაზა ჯაფარიძე** იცავდა:

— ჩემი პროფესია ისეთია, მარცხისთვის და გამარჯვებისთვის თანაბრად უნდა იყო მზად. ბევრი პროცესი მომიგია და ბევრზეც გაწბილებული დავრჩენილვარ, მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა, შეურაცხყოფა იყო, სიმართლეზე მიფურთხება — ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ სამარცხვინო განაჩენი მიიღო.

თავიდანვე ყველაფერი კანონის გვერდის ავლით გაკეთდა. უზენაესი სასამართლო იმ საქმეს დაუბრუნდა, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მოწინააღმდეგე მხარემ 29 აპრილს წარადგინა საკასაციო საჩივარი. მეორე დღეს კი გაუგონარი რამ მოხდა. უზენაესმა საქმე წარმოებაში მიიღო, მასალების შესწავლის გარეშე. ასეთი რამ პრაქტიკულად შეუძლებელია და არსად მომხდარა. თუმც რა, საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა. სხდომა 17 მაისს დაინიშნა და გადაიდო იმ მოტივით, რომ საქმე შესასწავლი იყო. მოკლედ, გუშინდელ პროცესზე სრული საფუძველი გვქონდა იმის, რომ სასამართლო კოლეგიის აცილება მოგვეთხოვა. ერთი საათი ითათბირეს ამაზე მოსამართლეებმა და ბოლოს ჩვენი პროტესტი არ დააკმაყოფილეს.

კანონის დარღვევა იყო ისიც, რომ გამსაჩივრებლებმა საკასაციო საჩივარი შეცვალეს. თავდაპირველად ისინი უზენაეს სასამართლოს საოლქოს გადაწყვეტილების გაუქმებას სთხოვდნენ, მერე კი იმავე პროცესზე ჩვენთვის რეგისტრაციის უფლების ჩამორთმევა მოითხოვეს. საკასაციო საჩივრის საფუძვლის შეცვლა კონკრეტულ პროცესზე კანონით დაუშვებელია, მაგრამ მოსამართლეებმა ამაზეც თვალი დახუჭეს. ყველაფერი რომ გაყიდული იყო, ისიც ცხადყოფს, რომ ჩვენი აცილების მოთხოვნის განხილვას სასამართლომ ერთი საათი მოანდომა, განაჩენი კი ათიოდ წუთში წაიკითხა. ჩვენ რეგისტრაციის უფლება ჩამოგვართვეს. ჩემს პრაქტიკაში ვერც კი ვიხსენებ შემთხვევას, სამართალი არ გაეთელათ.

**ბაატა ძგანტალიანი**


ზაზა ზირაქიშვილი

# გაიღიმეთ, დღეს ხელფასია

**გუშინწინ** უჩვეულოდ ხმაურიანი იყო „სინათლე". ავჭალელებს შეკრება და ვარჯიში ელირსათ, ფეხბურთელებიც ხუმრობის ხასიათზე იყვნენ და მწვრთნელებსაც იმედიანი გამოხედვა ჰქონდათ.

არა, ავჭალაში ფული ჯერაც არ დარიგებულა. ეს დიდი ხნის ნანატრი და მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის სასიამოვნო პროცედურა სადღეისოდ გადაიდო. ფაქტობრივად, „მერანის" ერთადერთმა მეპატრონემ ანზორ მამალაძემ ავჭალელებს ვალის სრულად გასტუმრების ასპროცენტიანი გარანტია მისცა.

„სინათლეზე" რამდენიმე ისეთი მოთამაშე ვერ ვნახეთ, რომლებმაც მეცამეტე ეროვნული „მერანში" დაასრულეს. გუშინ ფეხბურთელებს გუნდიდან წასულთა შესახებ რომ დავეკითხეთ, პასუხად სიმართლენარევი ხუმრობა მივიღეთ, კლუბიდან ვალერი ქილენკოვი, იური სევასტიანოვი, ვოვა ჩერქეზოვი, პაშა პივალოვი და ვალერი ოგანოვი წავიდნენ, თან რამდენიმე ნიჭიერი ბავშვი გააყოლეს ხელს ფარმ-კლუბიდან, დანარჩენები კი აქა ვართო. ზემოთნახსენები ხალხი რამდენიმე თვის წინ ავჭალური კლუბის დირექტორატს ავსებდნენ.

სულ მალე ოთარ გაბელიამ სავარჯიშოდ გაიყვანა ანგლობის ხასიათზე დამდგარი მერანელები. 40 წუთი ირბინეს ფეხბურთელებმა და გასახდელს მიაშურეს. გვარიანად გაუჭირდათ, დიდი ხნის უვარჯიშებლებს სირბილში „სინათლეზე" მუხლებამდე წამოზრდილი ბალახიც ხელს უშლიდათ.

ვარჯიშზე არ გამოჩენილან აკაკი დევაძე, რომეო გოგიტაძე, ზაზა კვეკვესკირი, ბიძინა ივეჩიანი და გიორგი გაბიდაური. დევაძის და ივეჩიანის გზაკვალი უცნობია, გოგიტაძე და კვეკვესკირი „სიონს" შეეკედლნენ, ხოლო გაბიდაური „კოლხეთთან" ერთად მიემგზავრება ბულგარულ შეკრებაზე.

ოთარ გაბელიას განკარგულებაში გუნდს შემორჩენილებთან ერთად რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიცაა, თუმც მათი დარჩენა-არდარჩენის ამბავი ჯერაც გაურკვეველია. ავჭალელებს ახალი კაპიტნის არჩევაც მართებთ, იოსებ დევიძე ხომ გატორპედოელდა.

17 ივლისამდე „მერანი" „სინათლეზე" ივარჯიშებს, მერე ყვავილნარში აიბარგება ორკვირიან შეკრებაზე და გუნდიც საბოლოოდ იქ დაკომპლექტდება.

...ხუთი თვე ელოდებოდნენ ავჭალელები კუთვნილს. დღეს სრულად მიიღებენ „ნაგროვებ" ფულს, შეკრებაზეც წავლენ, მაგრამ მერე საიდან მოვა გუნდის შესანახი თანხა, ამაზე „მერანში" დღეს ვერავინ გიპასუხებთ.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ახალი არაფერია, მოლოდინია ძველი

*უკვე რა ხანია, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობის მიერ დასჯილი 27 წლის თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი უქმადაა. მოგვიანებით მას სხვა კლუბში გადასვლის შანსი მისცეს, თუმც ამას რეალური არაფერი მოჰყოლია. არადა, საქართველოს მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს უფეხბურთოდ ერთი წელი უკვე თვალსა და ხელს შუა გაუსხლტა. ახლა მას ახალი სეზონი, ახალი იმედები ელის და კვლავაც მეტოქეთა კარის ჩვეულად დალაშქვრა ენატრება.*

*რა როგორ იქნება, მალე გავიგებთ, ჯერჯერობით კი ზაზა ზირაქიშვილი ერთობ თავშეკავებული ჩანს და მომავალსაც რეალურად უყურებს*

— სიახლე ჯერაც არაფერია. რეალური დაინტერესება ჩემს მიმართ ჯერ არავის გამოუჩენია. ვნახავ, ვინ რას შემომთავაზებს და მერე გადავწყვეტ.

**— „დინამოსთან" კონტრაქტი დაგიმთავრდათ?**

— დიახ. „დინამოსთან" უკვე აღარაფერი მაკავშირებს.

**— ესე იგი, მსურველ კლუბს თქვენი გადაბარება ძვირი არ უნდა დაუჯდეს.**

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. მოლაპარაკებისას ყველაფერი გაირკვევა.

**— ვიცით, რომ უნგრული კლუბების — „ფერენცვაროშის" და „დიოეტოს" ვარიანტები გქონდათ...**

— კი, იყო ასეთი დაინტერესება. უნგრელები გასინჯვაზე ჩასვლას მთავაზობდნენ, მაგრამ თავად მე ვიუარე. ფაქტობრივად, ერთი წელი გამიცდა, და, ცხადია, ფორმაში არ ვარ. ასე რომ, ამ ვარიანტებისგან თავი შორს დავიჭირე.

**— თქვენი აზრით, სად უფრო რეალური გეჩვენებათ კარიერის გაგრძელება — საქართველოში თუ უცხოეთში?**

— ალბათ, საქართველოში. უცხოეთში ასე მოუმზადებლად წასვლას აზრი არა აქვს. ჯერ აქ უნდა მოვმძლავრდე და ფორმა აღვიდგინო.

**— ქართული კლუბები, ალბათ, უკვე გიწვევენ.**

— კონკრეტულად ჯერ არავის მოუმართავს. მეც რა დამრჩენია, წინადადებებს ველი.

**ძახა შალამბერიძე**


მიხეილ მესხის თასის (1986 წლამდე დაბადებულთა შორის) წლევანდელი გათამაშების ფინალში ერთმანეთს საფეხბურთო სკოლა „დინამო" და „მერანი" დაუპირისპირდნენ. მატჩი „შევარდენზე" გაიმართა. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ 1:1, ხოლო პენალტების სერიაში დინამოელებმა 4:2 იმარჯვეს.
გამარჯვებული გუნდი თბილისის „დინამო-86" — დგანან (მარცხნიდან): ვახტანგ კოპალეიშვილი (მთავარი მწვრთნელი), გიგა პერტაია, დავით ყრუაშვილი, გიორგი გუნცაძე, კახა ოსიტაშვილი, ზურაბ პატაშური, არჩილ ბაჯელიძე, გიორგი რუხაძე, დავით მეგენეიშვილი, ნიკა ნიჟარაძე, ზაზა ბურჭულაძე, რევაზ კახნიაშვილი, ავთო სულაბერიძე;
მეორე რიგში: ალეკო ბაძალუა, მალხაზ მაღრაძე, გიორგი ბერიაშვილი,
გიორგი რუსიძე (კაპიტანი), გოგიტა ჟღენტი, ირაკლი გაბელაია, კოკა მანჯგალაძე;
მესამე რიგში: ბორის კილასონია (მწვრთნელი), ლევან ლომიძე, გიორგი მელაშვილი,
ირაკლი ჩხარტიშვილი, გიგა ლობჟანიძე

**შვეიცარია**
B ჯგუფი. I ტური
ბადენი 0:2 ლუგანო

**რუსეთი**
პრემიერლიგა. გადადებული მატჩი
ლოკომოტივი 1:0 ურალანი

**შვედეთი**
VIII ტური
იურგორდენი 1:1 ელფსბორგი





გიორგი ლომაია და გოჩა ჯამარაული „დინამოს" მწვრთნელის ვიქტორ პროკოპენკოს სიტყვას ელიან

# სიტყვაქვირი პროკოპენკო

## ჯამარაულს ვიცნობ, ლომაია მითხრეს

**საქართველოს ნაკრების** ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული ამჟამად მოსკოვის „დინამოსთან" ერთად ნოვოგორსკის ოლიმპიურ ბაზაზე ვარჯიშობს და სავარაუდოდ, რომ დღეს-ხვალ ის რუსებთან კონტრაქტს გააფორმებს.

ჯამარაული, რომელსაც შვეიცარიულ „ციურიხთან" კონტრაქტი გასული სეზონის ბოლოს დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი ფეხბურთელია, მოსკოვში ორი კვირის წინაც იმყოფებოდა, კლუბის წარმომადგენლებს ესაუბრა და სამშაბათს თბილისიდან ისევ მოსკოვისკენ გასწია...

ველოდით, რომ გოჩა მოსკოველთა ბოლო ხანს ფინანსურად ერთიათად მოღონიერებულ კლუბში ულაპარაკოდ ჩაირიცხებოდა და მწვრთნელ ვიქტორ პროკოპენკოსთვის თავის მოწონება არ დასჭირდებოდა, თუმცა საქმე მთლად ასეც არ ყოფილა. ამაში პროკოპენკოს ერთობ უხეში სიტყვამუნწი პასუხიდანაც დარწმუნდებით. დინამოელთა მწვრთნელს წუხელ მოსკოვში დავუკავშირდით და ჯამარაულის ტრანსფერზე დაველაპარაკეთ.

— ჯამარაულის გარდა მოსკოვის „დინამოში" კიდევ რვა ფეხბურთელი ისინჯება.

**— ჩვენც კარგად ვიცით და იმ რვას შორის კიდევ ერთი ქართველი, მეკარე გიორგი ლომაიაცაა. დარჩებიან ქართველები თქვენს გუნდში?**

— „დინამომ" ამჟამად ვინც კი მოიწვია, ჯერჯერობით კონტრაქტი არავისთან გაუფორმებია, მათ შორის არც ქართველებთან.

**— ჯამარაულს ადრეც იცნობდით?**

— დიახ, ვიცნობდი. მისი თამაში მინახავს და მომწონს ეს ფეხბურთელი, თუმცა ჯერ უნდა ივარჯიშოს.

**— ლომაიასაც იცნობდით?**

— გადმომცეს, კარგი მეკარეაო. ახლა ვაკვირდებით.

**— როდის გადაწყდება ქართველების ბედი?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ვიქტორ პროკოპენკო, შეგახსენებთ, ბოლო ხანს ვოლგოგრადის „როტორს" წვრთნიდა, მერე დონეცკის „შახტარს", სადაც პოსტი ნევიო სკალას დაუთმო. „დინამოში" მისვლამდე კი დონეცკელთა ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

**კობა ინასარიძე**

# იგნატიევის ქართული წილი



ბორის იგნატიევი

## რუსის კონსულტაცია: აშვეთია-დემეტრაძე

**თითქოს** ძველი დრო დაბრუნდა. ვლადიკავკაზის „ალანია" კვლავაც „ქართულ" გუნდად იქცა და ჩვენი ინტერესიც უმალ მიიპყრო. გია იმედაძე, მიხეილ აშვეთია და გიორგი დემეტრაძე ოსური კლუბის უფსკრულიდან ამოყვანას და პრემიერლიგაში დარჩენას აპირებენ. როგორ გამოუვათ ეს, სხვა საქმეა, თუმცა ამაში მთავარ მწვრთნელსაც რომ არ ეთქმის ბოლო სიტყვა, ესეც ცხადია, „ალანია" კი კვლავაც უთავკაცოდაა. არადა, კლუბი ბოლოდან მეორეა სატურნირო ცხრილში და ბევრი უკვე გავარდნასაც უწინასწარმეტყველებს.

ქართველების გუნდს ამჟამად ბახვა თედეევი და ბორის იგნატიევი ხელმძღვანელობენ, თუმცა– „8 ივლისს რუსეთის საფეხბურთო კავშირის სხდომა გაიმართება და ჩემი საკითხიც ამის შემდეგ გაირკვევა" — განაცხადა ცნობილმა სპეციალისტმა ბორის იგნატიევმა. საქმე კი ისაა, რომ მას თურმე რუსეთის საფეხბურთო კავშირთან გარკვეული ხელშეკრულება აქვს და თუ რუსული ფეხბურთის მამებმა დამატებითი პირობები არ შესთავაზეს, „ალანიას" სწორედ იგნატიევი უთავკაცებს, რომელსაც ამჟამად კონსულტანტად უფრო მოიხსენიებენ.

სხვათა შორის, ოსურ კლუბში მიხეილ აშვეთიასა და გიორგი დემეტრაძის ტრანსფერებში ბორის იგნატიევს ლომის წილი უდევს. სწორედ მისი რჩევით ჩაირიცხნენ ქართველები „ალანიაში".

სამ ქართველს ამდენიო ბულგარელიც არ აწყენდაო, უფ[illegible]რია ბორის იგნატიევს და ახლა სლავ ფეხბურთელთა ტრიოც შეუგულებია. ისინი „ალანიას" მალე შეუერთდებიან და დიდი შანსია, კლუბთან კონტრაქტიც გააფორმონ.

ასე რომ, „ალანია" გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება და იმედია, ამაში ჩვენებურებიც იტყვიან საკადრის სიტყვას. თუმცა ოსებს უკვე სერიოზული დანაკლისიც აქვთ. ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, რუმინელი ნიკოლაე გრიგორე მძიმედ დაშავდა და ფეხბურთს სულ მცირე, სექტემბრამდე გამოეთხოვა. მას უკვე ოპერაციაც გაუკეთეს და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

**კახა ზალამბერიძე**

# ტორპედო თურქულად მოემზადება

**გუშინდელ** „სარბიელში" გამცნეთ, რომ ქუთაისის „ტორპედო", რომელიც, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერის კუნძულების „B36"-ს უნდა დაუპირისპირდეს და მეტოქესთან პირველ მატჩს 17 ივლისს ქუთაისში გამართავს, წინასალიგო მზადების დარჩენილ დროში უცხოურ შეკრებას აღარ აპირებდა და წვრთნას ქუთაისში, საღორიის ბაზაზე გააგრძელებდა. ამის შესახებ ტორპედოელთა ერთ-ერთი მწვრთნელისგან შევიტყვეთ და ინფორმაციისთვის მადლობაც მოვახსენეთ, მაგრამ რა მისი ან ჩვენი ბრალია, თუ კლუბის მესვეურებმა ბოლოს მაინც გადაწყვიტეს გუნდის უცხოეთში გამგზავრება.

დიახ, ხვალ ქუთაისელები 35-კაციანი დელეგაციით თურქეთს მიაშურებენ და ტრაბზონიდან 30 კილომეტრის მოშორებით დასცემენ ბანაკს.

თურქულ შეკრებამდე კი ტორპედოელებმა მესამე საკონტროლო მატჩის გამართვა მოასწრეს. ჩემპიონი გუშინ პირველლიგელ „ჭობულეთს" ესტუმრა და მონდომებით მოთამაშე ზღვისპირელებს ვერაფერი მოუხერხა. ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი ჭობულეთელმა ჭაბუკმა ნიაზ ბეჟანიძემ გაიტანა და გამარჯვებაც, ცხადია, მასპინძლებს ერგოთ. „ტორპედოს" თავკაცმა ალექსანდრ შტელინმა 19 ფეხბურთელი გამოსცადა. არ უთამაშიათ ზურაბ იონანიძეს, გივი დიდავას, ანდრი პოროშინს, ვახტანგ ხვადაგიანს და იოსებ დევიძეს.

**იუზა კაციტაძე**

# ფიქრისა და დარდის დრო წავიდა

## ფრაიბურგმა ძესა და შვილებს იჩიჩები მიაყოლა

*კარგა ხანს ვიწონებდით თავს იმით, რომ ბუნდესლიგაში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა და საკმაოდ წარმატებულადაც. მაგრამ გასულ სეზონში ორივე ქართული გუნდი დაემშვიდობა ბუნდესლიგას — „კიოლნიც" და „ფრაიბურგიც".*

*თუმცა, გუნდები ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ და ახალი იმედებიც აქედან ჩნდება. „ფრაიბურგში" ხომ სულაც ხუთი ქართველი ირიცხება და ვინძლო ერთ წელიწადში კვლავ გავხალისდეთ ჩვენებურთა ბუნდესლიგაში თამაშით.*

*ალექსანდრე იაშვილი ერთ-ერთ იმათგანია, ვინც მართლა ღირსია ბუნდესლიგაში თამაშისა, მაგრამ რა გაეწყობა — იაშვილსა და დანარჩენ ფრაიბურგელებს ეს ახლა დასამტკიცებელი აქვთ. ჩვენ კი საინტერვიუდ სწორედ იაშვილს შევეხმიანეთ*

— ახლა შეკრებაზე ვართ. ტრადიციისამებრ, ახალი სეზონისთვის მზადების მანგელკში, ჰამბურგთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში ვიწყებთ-ხოლმე და არც ამჯერად ვუღალატეთ ჩვეულებას. ყველაფერი ნორმალურად, კარგად მიდის.

**— გერმანიაში მედიამაგნატ ლეო კირხს რომ ხელი მოეცარა პირველი და მეორე ბუნდესლიგის მატჩების ტელეტრანსლაციის ბიზნესში, ეს დიდად დაეტყო „ფრაიბურგს"?**

— ამ ამბავმა ყველა გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე იმოქმედა. საერთო ჯამში „ფრაიბურგს" ჯერ არაფერი უჭირს, მაგრამ თუ ბუნდესლიგაში ვერ ალზევდა, აი, მერე ძალიან გაუჭირდება. „ფრაიბურგი" იმითაც ინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას, რომ გუნდი რამდენიმე წელი თამაშობდა ბუნდესლიგაში და წინა სეზონში უეფას თასზეც კი მოსინჯა ძალა.

**— ახალი ფეხბურთელები არ შეუძენია „ფრაიბურგს"?**

— ჩვენ სამი ახალი ფეხბურთელი დაგვემატა — ბოსნიელი შუახაზელი ბაირამოვიჩი „ზანკტ პაულიდან", მისივე თანამემამულე, შემტევი ანიჩიჩი ისრაელიდან, რომელიც ერთ დროს კახა ცხადაძის მხარდამხარ თამაშობდა „აინტრახტში" და შვეიცარიელი მარცხენა მცველი ბრუნო ბერნერი „გრასჰოპერიდან".

**— როგორ ფიქრობ, ბუნდესლიგაში ალზევებისთვის „ფრაიბურგის" მთავარი კონკურენტები რომელი გუნდები იქნებიან?**

— ასეთი ალბათ, ბევრი იქნება. თუმცა ვფიქრობ, ასე, ექვსი გუნდი იბრძოლებს რეალურად ბუნდესლიგისთვის. მათ შორის, ჩვენსავით წინა სეზონში დაქვეითებული „ზანკტ პაული" და „კიოლნი".

**— ძალიან გაწბილებული ხარ, რომ შენი კარიერის ამ ეტაპზე მეორე ბუნდესლიგაში მოგიწევს თამაში?**

— რა თქმა უნდა, ძალიან გაწბილებული ვარ, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრს აზრი არა აქვს. კონტრაქტი კი „ფრაიბურგთან" ერთ წელიწადში დამიმთავრდება.

**— ჩვენი დანარჩენი ფრაიბურგელები როგორ არიან, გიორგი კიკნაძის ჯანმრთელობა როგორ არის?**

— ყველანი კარგად ვართ, მათ შორის კიკნაძეც, რომელიც უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

**დავით თავართქილაძე**



ალექსანდრე იაშვილი

# მულატი და თეთრი

## დახასიათების მოკლე შინაარსი

**ახალი ამბები** თბილისის „დინამოს" გერმანულ სამყოფელ რუიტიდან ისაა, რომ ორივე იმ ბრაზილიელის ვინაობა, ასაკი და ყოფილი კლუბები გავარკვიეთ, რომლებსაც ივო შუშაკი გამომცდელის თვალით უყურებს. როგორც კლუბის პრესატაშე ლევან სალუქვაძემ გვითხრა, 22 წლის თავდამსხმელი რეინალდო ადრე „ამერიკა ბელაჰორიზონტეში" თამაშობდა, ერთობ ჯანიანი მულატი ბიჭია და ძალიან ძლიერი დარტყმა აქვს. „დინამოში" ბედის მაძიებელ მეორე ბრაზილიელს მურილიო ჰქვია, ის თეთრია, 26 წლისაა და ამპლუით პლეიმეიკერია, რომელსაც „მარიტიმუში" უბურთავია და რუიტში ჭიპმოჭრილ დინამოელ თანამემამულე კარლოს ალბერტო და როჩასთან ერთად ჩავიდა.

„დინამო" დღეს ავტობუსში ჩაჯდება, 60 კილომეტრზე იმგზავრებს და ბრეტფელდში ამავე სახელწოდების რეგიონალლიგის გუნდს გაეჯიბრება. მომდევნო საკონტროლო მატჩი კი 10 ივლისს უწევს ასევე რეგიონალლიგის „შტუტგარტ კიკერსთან".

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მასიმო მაკარონემ ევროპის ჩემპიონატზე ფასი დაიდო

# მიდლსბრომ რეკორდი გაახერხა

„**მისი** ხელში ჩაგდება ბევრს უნდოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩვენ მოვახერხეთ" — განაცხადა „მიდლსბროს" მენეჯერმა სტივ მაკლარენმა. ლაპარაკია 22 წლის ნიჭიერ იტალიელ მასიმო მაკარონეზე.

ამ ფეხბურთელისთვის „მიდლსბრო" საკმაოდ დიდხანს ომობდა და ბოლოს საწადელს მიაღწია, თუმცა თავისთვის სარეკორდო, 8,15 მილიონი გირვანქის გადახდა კი დასჭირდა. „მიდლსბროს წინა სარეკორდო ტრანსფერი 2000 წელს უგო ეჰიოგუში „ასტონ ვილასთვის" გადახდილი 8 მილიონი გირვანქა იყო.

მაკარონემ „ემპოლის" სერია A-ში ასასვლელად დიდი შრომა გასწია, რაც 2000 წლის ივლისიდან 68 მატჩში 24 გოლში აისახა. მან ერთი მატჩი ტრაპატონის „სკუადრა აძურაშიც" ჩაატარა და ხალხი აალაპარაკა.

უპირველესად კი მაკარონე წლეულს, მაისში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოირჩა — ბომბარდირი გახდა. შეგახსენებთ, რომ პატარა „აძურამ" უფროსებზე უკეთ ითამაშა და ნახევარფინალში გააღწია.

„მას უდიდესი პოტენციალი აქვს ბედნიერები ვართ, რომ ასეთი დონის მოთამაშე შევიძინეთ" — განაცხადა კეიტ ლამბმა, კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა.

მაკარონეს გარდა, რომელთანაც „მიდლსბრომ" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, გუშინაც გვეწერა, რომ ტისაიდურ კლუბში ბრაზილიელი ჟუნინიო ბრუნდება. მსოფლიოს ჩემპიონს იქ 1995-1997 წლებშიც უთამაშია.

**სერგი ჟორჟაძე**

# ჰოდლმა რეპრესიები დაიწყო

**ლონდონის** „ტოტენჰემის" მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა განაცხადა, დროა, ჩვენმა კლუბმა წარსული დიდება დაიბრუნოსო. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე „ტოტენჰემი" ორჯერ იყო ინგლისის ჩემპიონი, შვიდჯერ ფლობდა ქვეყნის თასს, ერთხელ თასების თასი და ორჯერაც უეფას თასი მოიგო. 80-იანი წლების დასაწყისში კი ჰოდლი ამ კლუბის ლიდერი გახლდათ და ახლა, ეტყობა, ნოსტალგია მიეძალა.

ჰოდლს მიაჩნია, რომ მომავალი წარმატებისთვის უპირველესად საკადრო ცვლილებებია საჭირო. ამისდაკვალად, ერთბაშად შვიდ ფეხბურთელს გამოუცხადა ახალი სამსახური ეძებეთო. ერთმა, თავდამსხმელმა კრის არმსტრონგმა უკვე დატოვა გუნდი, დანარჩენები — მეკარე ნილ სალივანი, მცველი კრის პერი, შუახაზელები ოივინდ ლეონარდსენი და ტიმ შერვუდი, თავდამსხმელები სერგეი რებროვი და სტეფან ივერსენი — ჯერაც გაურკვევლობაში არიან.

ჰოდლი დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, თუმცა კლუბის დირექტორი დევიდ პლიტი სხვაგვარად ფიქრობს. მისი აზრით, ამ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ საბოლოო სიტყვა, თანაც ისინი სხვადასხვა ეროვნული გუნდების წევრები არიან, ამიტომ იაფად გაყიდვა სისულელე იქნება: „თუ სარფიანი წინადადებები მივიღეთ, გავუშვებთ, თუ არა და, დაე, „ტოტენჰემში" ითამაშონ" — ამბობს პლიტი.

ახლა ახალშენაძენზეც ვთქვათ. ზაფხულიდან ლონდონურ კლუბში სლოვენიელი ნახევარმცველი მილენკო აჩიმოვიჩი, „ლივერპულის" ყოფილი კაპიტანი ჯეიმი რედნაპი და, ალბათ, „სანდერლენდის" მეგოლე კევინ ფილიპსი ითამაშებენ. ჰოდლი კი სასურველ ფეხბურთელებს კვლავაც ეძებს.

**სოლომონ გულისაშვილი**



გლენ ჰოდლი



ალიუ სისე (მარცხნივ) და ტიერი ანრი, ალბათ, პრემიერლიგაშიც შეხვდებიან

# სენეგალი საფრანგეთს გასცდა

**ინგლისურ** პრემიერლიგაში ალზევებული „ბირმინგემის" მენეჯერ სტივ ბრიუსის თქმით, მალე კლუბს მსოფლიოს ჩემპიონატის აღმოჩენა, სენეგალის ნაკრების მცველი და კაპიტანი ალიუ სისე შეუერთდება. სისე უნივერსალური ფეხბურთელია და დაცვის გარდა ნახევარდაცვაშიც თამაშობს. მსოფლიოს ჩემპიონატზე სენეგალელთა წარმატების შემდეგ მისით დაინტერესება გაიზარდა. თუმც „ბირმინგემს" ფეხბურთელისთვის ჯერ კიდევ მუნდიალამდე დაუდგამს თვალი.

„მას ყველა მონაცემი აქვს, რაც ჩვენ გუნდს სჭირდება. განსაკუთრებით ფიზიკურადაა ძლიერი. მსოფლიოს ჩემპიონატმა მისი ტრანსფერს ცოტა ხნით შეაყოვნა, თუმცა ვფიქრობ, ახლა წინ ველარაფერი დაგვიდგება. ჩვენს მიერ შეთავაზებული პირობები ფეხბურთელს სავსებით აკმაყოფილებს" — განაცხადა ბრიუსმა.

ცნობისათვის, სისე ამჟამად ფრანგული პსჟ-დან „მონპელიეშია" განათხოვრებული. ბირმინგემელებს პართნელებისთვის 6,6 მილიონი დოლარის ჩათვლა მოუწევთ.

**სერგი ჟორჟაძე**


# იყიდება

ვაკეში, ჯიქიაზე ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46


# ჩელსის ფული უფასოდ ეყო

**წლიდან წლამდე** „ჩელსი" პრემიერლიგის ფავორიტთა შორის ტრიალებს, თუმცა ჩემპიონის ტიტულს ჯერაც ვერ შესწვდა. ახალ სეზონშიც „არისტოკრატები" ტრადიციულად ვარსკვლავების მორიგი ჯგუფის დამატებას აპირებენ, ერთი ეგაა, ჯერჯერობით ლონდონელების სურვილები მათ შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

„ჩელსის" შესაძლებლობები დღესდღეობით „რეალის" კამერუნელ ჯერემისა და ბრაზილიელ კონსეისაოსაც ვერაფრით შესწვდა.

„რეალთან" ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ თავმჯდომარემ მითხრა, რომ მათი შესაძენი ფული არ გვქონია" — განუცხადა ესპანურ „მარკას" „ჩელსის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ. მისი თქმით, კლუბს იმ თანხის გადახდა, რომელსაც „რეალი" მოითხოვს, არ შეუძლია.

თავის მხრივ, მადრიდელთა სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანოც სატრანსფერო ბაზარზე დამკვიდრებულ ახალი ტენდენციებზე ჩივის: „ბაზარი გაყინულია, არც ერთი კლუბი არ ინძრევა. ეკონომიურმა პრობლემებმა კლუბები ისე მოდრიკა, რომ ძვირი ფეხბურთელის ყიდვა აღარავის სურს. წინა შარშანაც ხომ ჭირდა ფეხბურთელის გაყიდვა, ვგრძნობ, წლეულს უფრო გაჭირდება" — ივარაუდა ვალდანომ.

ინგლისელებმა ერთი ფეხბურთელი მაინც გადაიბირეს. „ჩელსიმ" უფასოდ დაიმატა კონტრაქტგასული 23 წლის ესპანიოლელი ნახევარმცველი ენრიკე დე ლუკასი.

დე ლუკასი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრია. წინა სეზონში კატალონიელთა შემადგენლობაში 33 მატჩში 7 გოლი გაიტანა. რანიერის თქმით, მას ახალგაზრდა ნახევარმცველი ჯერ კიდევ „ვალენსიაში" მუშაობისას შეუმჩნევია. დე ლუკასი „ჩელსიში" 4 წლით დარჩება.

ესპანეთის გარდა ლონდონელები ფეხბურთელებზე იტალიაშიც ნადირობენ. „ჩელსის" ინტერნაციონალის მორიგი იტალიელი შესაძლოა, ლაციოელი დინო ბაჯო აღმოჩნდეს.

ეს ინფორმაცია ბაჯოს აგენტმა, კლაუდიო პასკუალინმა გაავრცელა. მისი თქმით, „ჩელსი" ძლიერ ნახევარმცველს ეძებს და არჩევანი დინო ბაჯოზე შეუჩერებია. თუმც „სტემფორდ ბრიჯზე" დინოს გამოჩენა „ჩელსის" ფულის გადაუხდელად უნდა — ბაჯოში ინგლისელები „ლაციოს", ასევე იტალიელ გაბრიელე ამბროზეტის აძლევენ, რომელიც ახლა „პიაჩენცაში" ჰყავთ განათხოვრებული.



ენრიკე დე ლუკასი „ჩელსის" თავკაცს ბავშვიც ახსოვს

პასკუალინმა, რომელიც, სხვათა შორის, ამბროზეტის აგენტიცაა (1999 წელს ამბროზეტის „ვიჩენცადან" „ჩელსიში" 3,5 მილიონ დოლარიანი ტრანსფერი სწორედ პასკუალინმა გაუხერხა), ამბობს, რომ ფეხბურთელების გაცვლა ორივე კლუბისთვის კარგი იქნება. ეს განსაკუთრებით „ლაციოზე" ითქმის, ვისაც არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობის ფონზე დინო ბაჯოსთვის მსუყე ხელფასის გადახდა მომავალ სეზონში ძალიან გაუჭირდება.

ამასობაში „ჩელსის" სტაჟიანმა მეკარე კარლო კუდიჩინიმ კლუბთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. კუდიჩინი წინა სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეობაზეც აცხადებდა პრეტენზიას.

„მინდა, მადლობა გადავუხადო კლუბს, რომელიც მენდო. სამი წელია, აქ ვარ და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მიყვარს ჩემი კლუბი, მიყვარს ლონდონი, მიყვარს გულშემატკივრები" — ხარობდა კონტრაქტზე ხელის მოწერის მერე კუდიჩინი.

კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა, ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, კუდიჩინის სიხარულის მიზეზი სწორედ მომატებული ხელფასი უნდა იყოს.



ხელფასის მომატებამ კარლო კუდიჩინის გარშემო ყველაფერი შეაყვარა

**სერგი ჟორჟაძე**

# ზენის მარცხი, ზეპის გამარჯვება!

**ხუთშაბათს,** მიშელ ზენ-რუფინენის ფიფას გენერალური მდივნობა დამთავრდა. გეხსომებათ, 29 მაისს, სეულში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები მისი ბანაკის სრული მარცხით დასრულდა და 43 წლის შვეიცარიელ ჩინოვნიკს, ხელახლაარჩეულ ზეპ ბლატერთან თანამშრომლობის პირი აღარ დარჩა, მან თავად განაცხადა, თანამდებობიდან წავალო და კაცმა რომ თქვას, დაუთანხმებლადაც მოხსნიდნენ. გათავისუფლების ქაღალდზე ხელის მოწერა კი ფიფას პრეზიდენტმა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე ამჯობინა.

და, აი, დღეს ცნობილი შეიქნა, რომ მის კაბინეტს ურს ლინსი დაიკავებს. უფრო სწორად, ლინსის ამბავს ბეჭედი 23-24 სექტემბერს, ფიფას აღმასკომის სხდომაზე დაესმება, მანამდე კი იგი გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად უნდა მივიჩნიოთ. ერთი სიტყვით, დროის ამბავია.

„ფიფამ ბოლო კვირების განმავლობაში ყოველგვარ სირთულეს წარმატებით გაართვა თავი. შემდგომი ამოცანა, უკვე, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომზადებაა" — განაცხადა ბლატერმა.

მიშელ ზენ-რუფინენი 1998 წელს თავად პრეზიდენტმა დანიშნა გენერალური მდივნის თანამდებობაზე, რომელიც ჟოაუ აველანჟის პრეზიდენტობის ხანაში თავად ეკავა. იმხანად ბლატერი ზენ-რუფინენს „შვილს" უწოდებდა, მაგრამ მამა-შვილობას წლეულს 3 მაისს წერტილი დაესვა — ამ დღეს შვილმა მამას მექრთამეობასა და ათასგვარ კრიმინალურ ქმედებაში დასდო ბრალი.

შეგეხსენებთ, რომ ზენ-რუფინენის 300-გვერდიანმა ბრალდებათა ნუსხამ ფიფას აღმასკომის წევრთა ნაწილი ისე ააღელვა, რომ შვეიცარიის სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანეს და დიდ ფინანსურ ჩხრეკას დაუდეს საფუძველი, მაგრამ ბლატერი კერკეტი კაკალი გამოდგა, რაც სეულში, ზემოხსენებულ არჩევნებზე დამტკიცდა.

წინა კვირაში ზენ-რუფინენი ბრძანებდა: „ის, რომ მე თანამდებობიდან მივდივარ, არაფერს ცვლის. ის ხალხი, ვისაც მომავალში ფიფას მართვა მოუწევს, უნდა გაერთიანდნენ და სერიოზულ პრობლემებს შეეჯახონ. როდესაც მსოფლიო ფეხბურთს ხელმძღვანელობ, ძალიან დიდი თავდადება გმართებს, რადგან დღეს ფიფა არნახული სირთულეების წინაშე დგას. ჩემი 3 მაისის განცხადება ჩემსავე რწმენაზე იყო დაფუძნებული და, უნდა გითხრათ, რომ გადაგომის მიუხედავად აზრი არ შემიცვლია."

ბოლოს ზენ-რუფინენმა განაცხადა, ზეპ ბლატერს პიროვნულად არაფერს ვერჩიო.

**ბაჩუნა ძიძია**



მიშელ ზენ-რუფინენის კარიერა მსაჯობით დაიწყო





ზეპ ბლატერმა და მიშელ ზენ-რუფინენმა გაყრა ქაღალდზეც გააფორმეს

## ვინ არის დოქტორი ურს ლინსი?

1949 წლის 29 ივლისს დაბადებული შვეიცარიელი ეკონომიკის დოქტორი სენტ გალენის უნივერსიტეტიდან, ოცი წლის განმავლობაში „კრედიტ სუისში" მუშაობდა. 1999 წლის ივლისიდან მას ფიფას ფინანსები ჩააბარეს, ხოლო 2000 წლის 1 იანვარს გენერალური მდივნის მოადგილეობა უბოძეს.

ლინსიმ იცის გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენები. კარიერის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე სერიოზულ პროგრამას უხელმძღვანელა.

დოქტორი ლინსი სიყმაწვილეში შვეიცარიის სამოყვარულო ლიგებში აგორებდა ბურთს. თამაშობდა უნივერსიტეტის გუნდშიც, მაგრამ მუხლი დაიზიანა და ფეხბურთელობას სამუდამოდ შეეშვა, სამაგიეროდ ორ წელიწადს მსაჯობდა. 80-იანი წლების შუაში მის სახელს „პაუერმან ღუატლონის" დამფუძნებლად იხსენიებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ის დიდ მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს ჩემპიონატების მოწყობასა და რეგლამირებაში.

დოქტორი ლინსი გატაცებულია, თხილამურობით, მუსიკით და კითხვით.



მარკ ვილმოტსმა (№7) და პიტერ პრენდერგასტმა ბოდიში ვერ გაიყვეს



# ვილმოტსი კერავს, პრენდერგასტი ჭრის

**ალბათ,** გახსოვთ ბრაზილია — ბელგიის სამუნდიალო მერვედფინალური მატჩი, რომელშიც სამხრეთამერიკელებმა იმარჯვეს. ამ შეხვედრის პირველ ტაიმში 0:0-ზე, ბრაზილიელთა კარში მარკ ვილმოტსის გატანილი, თუმც მსაჯის მიერ არჩათვლილი გოლის გამო დღესაც დიდი ვნებათაღელვაა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ იამაიკელი არბიტრი პიტერ პრენდერგასტი ბელგიელთა კაპიტანს სასამართლოში უჩივის.

მიზეზი მარკ ვილმოტსის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებაა: „მეორე ტაიმის დაწყებამდე მსაჯი ჩემთან მოვიდა და უსამართლოდ არჩათვლილი გოლის გამო ბოდიში მომიხადა. ეტყობა, მან შესვენებაზე იმ მომენტის ვიდეოჩანაწერი ნახა და საკუთარ შეცდომაშიც დარწმუნდა."

ახლა კი ირკვევა, რომ პიტერ პრენდერგასტი ბოდიშის მოხდას სულაც არ აპირებს: „მე არასოდეს გამირჩევია ეს ეპიზოდი ვილმოტსთან. მინდა, ჩემი სიმართლე დავამტკიცო. მან ისეთი სიტყვები მომაკერა, რომელიც არ მითქვამს. ეს მეტად უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს. იმედი მაქვს, სიმართლე არ დაიკარგება" — ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა იამაიკელმა არბიტრმა ფიფას და სასამართლოც ახსენა.

შეგახსენებთ, რომ ფიფა კატეგორიულად უკრძალავს მსაჯებს საეჭვო მომენტებზე კომენტარის გაკეთებას. თუმც აბა, მარკ ვილმოტსს ჰკითხეთ...

**ქახა შალამბერიძე**

# წამსვლელი წავიდოდა

**იომო სონო** ხომ კარგად გახსოვთ? თუმცა, სამხრეთ აფრიკის ნაკრების კოლორიტული მწვრთნელის დავიწყება, როგორ შეიძლებოდა. ჰოდა, ბატონმა სონომ ოთხშაბათს განაცხადა, ნაკრების სათავეში ვერ დავრჩები, „იომო კოსმოსში" უნდა გავაგრძელო მუშაობაო, ხუთშაბათს კი საპირისპირო თქვა — კეთილი, „კოსაფა კასტლის" თასზეც მე გავწვრთნი „ბაფანა ბაფანასო".

46 წლის სპეციალისტს გადაწყვეტილება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ირვინ ხოზამ შეაცვლევინა. „კოსაფა კასტლის" თასზე კი სამხრეთაფრიკელები პორტ ელიზაბეტში, 21 ივლისს, მადაგასკარის ნაკრებს უნდა შეხვდნენ. ეს მატჩი მეოთხედფინალურია, სონომ პორტ ელიზაბეტში წასაყვანი ფეხბურთელების სია კი იმ კვირაში უნდა გამოაქვეყნოს.

ახლა ასეა: თუ სამხრეთ აფრიკის ნაკრები შეჯიბრების ფინალში გავა, სონოს სექტემბრამდე, ანუ კიდევ ექვსი თამაშით მოუწევს თანამდებობაზე დარჩენა.

აქამდე სონო ამბობდა, ჩემს თანამდებობაზე ჩემივე ასისტენტი ტროტ მოლოტო ან 23-წლამდელთა ნაკრების თავკაცი ეფრაიმ „შეიკს" მაშაბა დანიშნეთო.

მოლოტოსთვის ნაკრების მწვრთნელობა ახალი არ არის, ის 2000 წლამდე ორი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ეროვნულ გუნდს, შემდეგ ის მოზამბიკელმა კარლოს კეიროშმა შეცვალა, ხოლო კიეროში სონომ.

**ბაჩუნა ძიძია**



იომო სონო (მარჯვნივ) საკუთარ სურვილებში გაიხლართა



ბრუნო მეტიუმ ამ ბიჭებით საფრანგეთი დაამარცხა. ფრანგი ბიჭებით რას იზამს?

# სანამ რუსები წაიყვანენ
## ლემერის ადგილს დუჟინი უმიზნებს

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელ სხდომაზე ეროვნული გუნდის მწვრთნელი როჟე ლემერი თანამდებობიდან დაითხოვეს. კორეა-იაპონიაში შერცხვენილი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა თავკაცი პოსტის დატოვებას არ აპირებდა და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა.

ჟურნალისტებს საქმე მიეცათ და ლემერის სავარაუდო შემცვლელებზე ბჭობენ. ლამის დუჟინამდე აუყვანიათ ნაკრების შესაძლო მოძღვართა რიცხვი. მათი თქმით, ფედერაციის პრეზიდენტის სიმპათია ჟან-ფრანკო დომერგის, ყოფილი პსჟ-ს თავკაცის, წინა სეზონში კი „ლე ავრის" პირველ დივიზიონში ამმზევებელი კაცისკენ იხრება. მავანთა აზრით, „ლიონის" გამჩემპიონებელ ჟაკ სანტინის შანსიც არ არის მცირე. კანდიდატთა სიაში ფილიპ ტრუსიეს, ალან ჟირესის, დიდიე დეშანის და ჟან ტიგანას სახელებსაც შეხვდებით.

წინასწარი ვარაუდის მოყვარულნი საფრანგეთის ნაკრებსა და სენეგალელთა ფრანგ მწვრთნელ ბრუნო მეტიუსაც უკავშირებენ ერთმანეთს. ფრანგული ფეხბურთის უფროსობა ამ ვარაუდს არ ადასტურებს.

საინფორმაციო წყაროები კორეა-იაპონიის მუნდიალის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მწვრთნელს მრავალი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სამიზნედ სახავენ. იმასაც ამბობენ, მეტიუსთვის გადასაბირებლად არც რუსები იშურებენო. თვით ბრუნოს კი „აფრიკელი ლომების" წვრთნა ჯერაც არ მოჰყირჭებია და სენეგალსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობას თუ შესთავაზებენ.

**გიორგი მამარდაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლარენს ზეედორფს (მარჯვნივ) „მილანის“ ქომაგები მტრულად დახვდნენ

# ცეცხლი აინთო, ვარჯიში დაიწყო

## ბერლუსკონი სენატორებს განუდგა

**კახა კალაძემ**, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ზედიზედ მეორედ რომ გახდა, „სარბიელს“ უთხრა, ახალი სეზონისთვის მზადებას 1 ივლისს ვიწყებთო. ასეც მოხდა. იტალიური „მილანი“ მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე მეხუთე დღეა, რაც ვარჯიშობს, კლუბის ხელმძღვანელები კი სატრანსფერო ციებ-ცხელებაში არიან ჩაბმულნი.

კარლო ანჩელოტის სამწყსოს მხოლოდ ის ფეხბურთელები აკლია, რომლებიც თავიანთ ეროვნულ გუნდებს ახლდნენ კორეა-იაპონიაში.

მუნდიალისტები ჯამში თორმეტნი არიან: აბიატი, მალდინი, გატუზო, ინძაგი (იტალია); დიდა, როკე ჟუნიორი (ბრაზილია); ჰელვეგი, ლაურსენი, ტომასონი (დანია); შამოტი (არგენტინა); შიმიჩი (ხორვატია) და რუი კოშტა (პორტუგალია). ესენი ცოტა ხნით კიდევ დაისვენებენ, „მილანს“ კი ივლისის შუა რიცხვებში შეუერთდებიან.

ჰო, მართლა, „მილანის“ წლევანდელმა პრეზენტაციამ, რომ იტყვიან, უხმაუროდ ჩაიარა. საყვარელი გუნდის სანახავად ბაზაზე ორასიოდე ტიფოზი მივიდა. მაშინ, როცა შარშან გუნდმა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ჩაიარა, აქაოდა, ვარჯიშს ვიწყებთ, თანაც მანუელ რუი კოშტას და ფილიპო ინძაგის გაეცანითო. ახლა კი... ახლა ტიფოზებმა ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფს უსტვინეს, შენ ხომ დაუძინებელი მტრის, „ინტერის“ ბანაკში იყავიო.

ვარჯიში ვარჯიშად და, უპრიანია, „მილანის“ სატრანსფერო ბაზარზეც ვთქვათ, სადაც „შავ-წითელთა“ ბოსები გამალებით მუშაობენ.

„მილანმა“ ახალი სეზონისთვის ხუთი ფეხბურთელი მიიწვია, სამი განათხოვრებული კი დაიბრუნა. ახლები დანიელი იონ დალ ტომასონი, ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი, ხორვატი დარიო შიმიჩი და ორი ყმაწვილკაცი — იტალიელი მარკო ბორიელო და ბრაზილიელი მაჩადუ კლეიტონი არიან, იჯარით განათხოვრებულნი კი ბრაზილიელი მეკარე ნელსონ დიდა (კორინთიანსი), ფრანგი მცველი სირილ დომორო (მონაკო) და იტალიელი ნახევარმცველი პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა) იყვნენ. თუ ადრიანო გალიანის ვერწმუნებით, მათ მომავალ კვირაში სემ დალა ბონა შეუერთდება. გალიანისავე თქმით, ლონდონური „ჩელსი“ თანახმაა, დალა ბონა „მილანში“ გაუშვას, სანაცვლოდ კი ახალგაზრდა მარკო დონადელი წაიყვანოს.

უფრო შთამბეჭდავი კი „მილანიდან“ წასულთა სიაა. სებასტიანო როსი, ალესანდრო კოსტაკურტა, დემეტრიო ალბერტინი — ფაბიო კაპელოს დროს სწორედ ეს სამეული ქმნიდა ატმოსფეროს გუნდში სხვა დიდ ფეხბურთელებთან ერთად, ახლა კი... „მილანელ სენატორთა კვარტეტი დაიშალა — წერენ იტალიური გაზეთები — დიდ მილანელთაგან კაპიტანი პაოლო მალდინილა შემოგვრჩა.“

„რას ვიზამთ, ოდესღაც ასე უნდა მომხდარიყო, ჩვენ მათ ვემადლიერებით და ვაფასებთ“ — აცხადებს ადრიანო გალიანი, რომლის თქმითაც, კლუბმა თავად არ გაუგრძელა კონტრაქტი როსის და კოსტაკურტას, ალბერტინი კი ესპანელ თავდამსხმელ ხოსე მარისთან ერთად გუშინ ერთი წლით მადრიდის „ატლეტიკოში“ იჯარით გაუშვეს. მანამდე ესპანეთის პრიმერადივიზიონში დაბრუნებულმა „ატლეტიკომ“ „ვინსენტე კალდერონზე“ კიდევ ორი მილანელი, თავდამსხმელი ხავი მორენო და ახალგაზრდა არგენტინელი მცველი ფაბრიციო კოლოჩინი ჩაიყვანა.

„მილანისა“ და „ინტერის“ გაცვლებზე კი ზემოთ ვთქვით, მაგრამ შეგახსენებთ, ფრანჩესკო კოკო და დავალა უმითი „ინტერმა“ ზეედორფისა და შიმიჩის სანაცვლოდ რომ მიიღო.

შუა სეზონისას ნათხოვარი მარკო სიმონე კვლავაც ფრანგულ „მონაკოს“ დაუბრუნდა, ხოლო ყმაწვილი სენეგალელი ადამა მოჰამედ სარი ფათიჰ თერიმს გაჰყვა სტამბოლის „გალათასარაიში“. დანიელე დაინო, მაურიციო დომიცი, ანდრეა რაბიტო, ლუკა ანტონინი, ნიკოლა კორენტი და მოჰამედ ალიუ სერია B-ს კლუბებში გადაბარგდნენ.

ჯერჯერობით „მილანის“ სატრანსფერო საახლეები ესაა. ამხანაგურ მატჩებს კი მაშინ ჩაატარებენ, როცა „შავ-წითლები“ სრული შემადგენლობით შეიკრიბებიან.

13 და 21 ივლისს „მილანი“ მოყვარულ გუნდებს შეხვდება, 28 ივლისს გლაზგოში „რეინჯერსს“, 31 ივლისს ტრიესტში, ტრადიციულ ერთდღიან სამთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მის გარდა „იუვენტუსი“ და „ინტერი“ ითამაშებენ. მერე კი 3-4 აგვისტოს ოთხთა ტურნირია. მადრიდში, „რეალის“ ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით, „რეალის“ და „მილანის“ გარდა ინგლისური „ლივერპული“ და მიუნხენის „ბაიერნი“ შეიკრიბებიან. ბოლოს კი ასევე ტრადიციული „ბერლუსკონის თასი“ გათამაშდება ტრადიციულ მეტოქეებს შორის, 18 აგვისტოს „სან სიროზე“, „მილანი“ — „იუვენტუსია“..

**გიორგი გუშაკიძე**



კარლო ანჩელოტიმ და ადრიანო გალიანიმ პრეზენტაცია უხმაუროდ ჩაატარეს

# იტალია ლიბიაშია

## ძაკერონიმ მსაჯი დააპატენტა

## კოლინამ ინგლისის პრემიერი გააძევა




ფერნანდო რედონდო

**შარშან** ზაფხულს გაისკა მენდიეტას „ლაციოში“ გადასვლას დიდი ხმაური მოჰყვა. სერჯო კრანიოტიმ ფეხბურთელში 42 მილიონი დოლარი გადაიხადა. მაგრამ რად გინდა — მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ბასკი ფეხბურთელისთვის გუნდში ადგილი ვერ გამონახა. სეზონი ისე გასრულდა, მენდიეტა ფაქტობრივად სათადარიგოთა სკამიდან არ ამდგარა.

ტრანსფერიდან, როგორც მოგახსენეთ, თითქმის წელიწადი გავიდა. აღმოჩნდა, რომ კრანიოტის თანხის ნაწილი ჯერ კიდევ გადასახდელი ჰქონია. პრეზიდენტმა წაუყრუა, მაგრამ ვალენსიელებმა შეახსენეს, მიხალები მივიღოთო. არადა, ფულის დარჩენილი ნაწილი იტალიელებს 30 ივნისამდე უნდა გადაერიცხათ. 30 ივნისიც გავიდა და აგერ, ივლისიც დაიწყო, თუმცა კრანიოტი განაბულია. ალბათ, ხელი უკანკალებს, როგორია ათობით მილიონი ჩაუთვალო ფეხბურთელში, რომელსაც ათი დოლარისაც არ ურბენია. მაგრამ რას იზამ, ვალი ვალია და გადახდა უნდა.

„ვალენსიას“ იურისტი კი სასამართლოთი იმუქრება: „თუ იტალიური მხარე დარჩენილ ფულს უახლოეს მომავალში არ გადაგვიხდის, აუცილებლად ვიჩივლებთ. პირადად „ლაციოს“ პრეზიდენტი შეგვპირდა, ყველაფერს მოვაგვარებო. იტალიელებს კილი გონსალესის გადაბირებაც სურდათ, მაგრამ სანამ ამ პრობლემას არ მოვაგვარებთ, კილის თაობაზე მოლაპარაკება უაზრობაა. ვფიქრობ, ისინი ეშმაკობენ, რითაც გონსალესზე ფასის დაკლებას ცდილობენ.“

ასეა თუ ისე, გაისკა მენდიეტას ისევე არ გაუმართლა, როგორც იტალიაში ასევე ესპანეთიდან ჩასულ ფერნანდო რედონდოს, მხოლოდ ერთი განსხვავებით — მას ფეხბურთის თამაშის საშუალება სერიოზულმა ტრავმამ არ მისცა.

„მილანში“ იმედოვნებდნენ, ყოფილი რეალელი ახალ სეზონში მაინც დაუბრუნდება მოედანსო. მაგრამ მტრისას — გამორიცხული არაა, რედონდოს კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდეს. ახლა იგი ბელგიურ ანტვერპენშია, და საბოლოო შემოწმებას გადის. მხოლოდ ამის მერე გადაწყდება, შეძლებს თუ არა ბურთის გაგორებას.

ერთ დროს „მილანის“ და „ლაციოს“ მწვრთნელყოფილი, ალბერტო ძაკერონი კი ზოგადსაფეხბურთო პრობლემას შეჭიდებია. ახალდამთავრებულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მას ახალი იდეები მიაწოდა.

ძაკერონი გვერდით მსაჯთა შეცდომებს დაუფიქრდა. იფიქრა და ბოლოს აი, რა მოიფიქრა: იმისთვის, რომ თანამსაჯები თამაშგარე მდგომარეობის აღნიშვნისას არ შეცდნენ, მეოთხე მსაჯის დახმარება სჭირდებათო. როგორც იტალიური პრესა ირწმუნება, ძაკერონიმ ფეხბურთის ფედერაციას მიაკითხა, ნოვატორული წინადადება მაქვს და მინდა, დავაპატენტოო, რაზეც თანხმობა მიიღო.

ახლა ძაკერონის გამოგონება დაწვრილებით გავარჩიოთ: მისი აზრით, თამაშგარე მდგომარეობისას შეცდომა მაშინ ხდება, როცა მსაჯს პასის მომენტი გამორჩება. ამიტომაც მეოთხე სათადარიგოსა და გვერდით მსაჯებს შორის უნდა დამყარდეს სპეციალური კავშირი, სპეციალური აპარატით, რომელიც ხმოვან სიგნალს გადასცემს. ამით ფუნქციები გაიმიჯნება. ანუ მეოთხე პასის მიცემის მომენტში ხმოვან სიგნალს უგზავნის გვერდით მსაჯს კი მხოლოდ ფეხბურთელის თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნა-არყოფნის დაფიქსირება დაევალება.

ძაკერონის ლოგიკით, თანამსაჯის მთელი ყურადღება პასის მიმღებზე გადავა, რაც მოვალეობის შესრულებას გაუადვილებს. თუ სიგნალის დროს თამაშგარე არავინ იქნება, აღარც ალამს ასწევს და გაუგებრობასაც ადგილი აღარ ექნება.

ერთი რამ ჯერ გაურკვეველია, სად უნდა იყოს მეოთხე, სათადარიგო მსაჯი, მინდორზე, მოედნის კიდესთან უნდა ირბინოს თუ ტრიბუნაზე მოკალათდეს.

თვითონ გამომგონებელს თურმე ექსპერიმენტიც ჩაუტარებია და როგორც ამტკიცებს, შეცდომის ალბათობა მინიმუმამდე დასულა.

საინტერესო ისაა, ვისი დახმარებით ჩაატარა ცდა, ან სად ნახა საამისოდ მოცლილი ხალხი.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სხვებმაც მიაკითხეს, ოღონდ განსხვავებული თხოვნით — სუპერთასის მატჩი ლიბიაში ჩავატაროთო.

შეგახსენებთ, რომ ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფის ოჯახი „იუვენტუსის“ აქციონერია. სწორედ მისი შვილი ასადი კადაფი მიადგა ფედერაციას, ეგებ, „პარმამ“ და „იუვენტუსმა“ ჩვენთან ითამაშონო. იტალიელებმა დიდი ბჭობის შემდეგ თანხმობა განუცხადეს.

ამასობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მთავარი მსაჯით ჯორჯ მაიკლი დაინტერესდა. მომღერალმა პიერლუიჯი კოლინა თავის ახალ კლიპში გადაიღო, რომელშიც თავპრიალა იტალიელი ინგლისის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს წითელ ბარათს უჩვენებს.

**გაჩა ხუციშვილი**



ალბერტო ძაკერონი საპატენტო ბიუროს მიადგა




„ლაციომ“ გაისკა მენდიეტაც მოატყუა და „ვალენსიაც“



გაოგნებულმა ჟოაუ პინტუმ მსაჯს ხელი უშნოდ მოუქნია

# შეუნდე პინტუს, ფიფავ!

**გეხსომებათ,** მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები სამხრეთ კორეისას ვერ უგებდა. არადა, გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფში რჩებოდა. უეჭველად ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, 27-ე წუთზე უხეშობისთვის გაძევებულმა პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ჟოაუ პინტუმ არგენტინელ მსაჯ ანხელ სანჩესს მალულად მუშტი რომ ჩასცხო. ის თამაში პინტუს ძმაბიჭებმა ეგრეც ვერ მოიგეს, აი, თავად კი იმ ცუღლუტობისთვის სერიოზული პრობლემა აქვს.

მსაჯს დაარტყიო?! და ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა პინტუ ფეხბურთიდან მოკვეთა. როდემდე? ამ საკითხს კომიტეტი მოგვიანებით გადაწყვეტს, ოღონდ, ეს „მოგვიანებით" როდის იქნება, არავინ იცის.

პინტუს დასაცავად უკვე აღიმაღლეს ხმა პორტუგალიაში.

ფეხბურთელს ადვოკატად პირველი მისი კლუბის მწვრთნელი რუმინელი ლადისლაუ ბოლონი დაუდგა. ლისაბონის „სპორტინგის" თავკაცმა თქვა: „მისი არაკორექტული საქციელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური არასტაბილურობის შედეგია. იმ მატჩის მნიშვნელობას თავი რომ დავანებოთ, პინტუ „სპორტინგის" გადატვირთული გრაფიკის გამო ძალიან დაღლილი იყო. ამასთანავე, როგორც ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, უზარმაზარი პასუხისმგებლობა მძიმე ტვირთად აწვა. როცა გააძევეს, სამწუხაროდ, სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ნერვებაშლილმა ბოლმა მსაჯზე გადმოანთხია. მე, რა თქმა უნდა, არ ვცდილობ მის გამართლებას, მაგრამ, ვფიქრობ, ფიფამ შედარებით ლმობიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს."

ჟოაუ პინტუ აგვისტოში 31 წლის ხდება. ეს მისი პირველი და, ალბათ, უკანასკნელი მუნდიალი იყო. თუ ფიფამ არ შეუნდო, ვინძლო, პინტუ 2004 წელს სამშობლოში გასამართ ევროპის ჩემპიონატსაც გამოაკლდეს.

**ირაკლი ბერტაია**

# ფიორენტინას რაღა?

**წინა სეზონში** პრიმერადივიზიონში მე-14 ადგილზე გასულმა „ესპანიოლმა" მეკარე ხუან მორატო ხერესს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და „ფიორენტინადან" 960 000 დოლარად ავსტრიელი მეკარე ალექს მანინგერი გადაიბირა. სხვათა შორის, კატალონიელები თავიდან „ბენფიკას" გერმანელ კარის დარაჯ რობერტ ენკეს ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ენკე კატალონიის დედაქალაქში კი ჩავიდა, მაგრამ „ესპანიოლის" თანაქალაქელი „ბარსელონა" აირჩია.

25 წლის მანინგერი „ესპანიოლში" „ფიორენტინადან" კი მოხვდა, მაგრამ ესპანელებმა ფული „არსენალს" ჩაუთვალეს, რაკი ავსტრიელი ლონდონური კლუბის საკუთრება იყო და „იებში" იჯარით იყო გაშვებული.

მანინგერის კონტრაქტი ოთხწლიანია.

**სერგი ტორიძე**



ალექს მანინგერი




ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები,
უკეთეს ადგილს სად ნახავთ

ფასი არ შეგაშინებთ

ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)


# დამასვენეთ!

**დაიწყო!** იტალიაში ჭორი გავრცელდა, რონალდო „ინტერში" უბედურია და ბედნიერების საპოვნელად მადრიდის „რეალში" აპირებს წასვლასო. მსოფლიოს ჩემპიონატის გმირს ჭორის საჯაროდ უარყოფა მოუხდა.

„უბრალოდ, ბოლო ხანს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატით ვიყავი დაკავებული და მხოლოდ ამ თემაზე დასმულ კითხვებს ვპასუხობდი. ადრე თუ გახსოვთ, „ინტერში" თამაშით რომ ვიყავი გართული, ბრაზილიის ნაკრებზე არ ვლაპარაკობდი" — ასე განმარტა „ბაჭიამ".

იტალიურმა პრესამ მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირს, შეგახსენებთ, პირველად თებერვალში შეუტია, როდესაც რიოს კარნავალზე წასულმა ფორვარდმა მილანში დაბრუნება არ იჩქარა.

„პერიოდულად, ისევე, როგორც თებერვალში, პრესა ტყუილებს მიგონებს. მაშინ, რიოში დარჩენა და ძალების აღდგენა ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო. ეს დამტკიცდა კიდეც, ისინი კი მაინც შავად ხატავდნენ ჩემს პორტრეტს — განაგრძო რონალდომ — ახლა, უპირველეს ყოვლისა, დასვენება მჭირდება. მინდა, ოჯახის წევრებთან ვიყო და იმ ხალხის ხმა არ მომწვდეს, რომელთაც პროფესიონალიზმის დაფასება არ შეუძლიათ."

რონალდომ ერთი ხნის წინაც უარყო ხმები, თითქოს „ინტერიდან" წასვლა უნდოდა:

„ერთი სიტყვით, ახლა დავისვენებ და შემდეგ სიამოვნებით შევუდგები ვარჯიშს, რათა „ინტერთან" ერთად დიადი სეზონი ჩავატარო."

**ბაჩუნა ძიდია**



რონალდომ (მარცხნივ) რიოში გვარიანად მოილხინა

# ფსონი ალფონსოს! შენ ჯერ ბებერი არ ხარ

**ალფონსო პერესი,** რომელსაც ესპანეთის ნაკრებში წინა ევროპის ჩემპიონატზე უთამაშია, ყაბულსაა, „ბარსელონადან" აიბარგოს და თავის ყოფილ კლუბ „ბეტისს" დაუბრუნდეს.

სევილიის „ბეტისს" იჯარით აჰყავს 29 წლის ფორვარდი და შესაძლოა, ერთწლიანი იჯარის გასრულების შემდეგ ფეხბურთელი გამოისყიდოს კიდეც.

„ძალიან ბედნიერი ვარ, შინ რომ ვბრუნდები, ბეტისელი ფანები ყოველთვის დიდად მაფასებდნენ და როცა დაბრუნების შანსი მომეცა, წამითაც არ მიყოყმანია" — განაცხადა ალფონსომ, ვისაც ეროვნულ გუნდში 38 კეპი მოუხვეჭია.

ალფონსო „ბარსაში" ევრო 2000-ის შემდეგ გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი. ხოლო, როცა წინა სეზონში კატალონიელებმა სავიოლა იყიდეს, ალფონსოს საერთოდ აღარაფერი ესაქმებოდა კატალონიურ კლუბში. ის ნახევარი სეზონით მარსელის „ოლიმპიკში" გაანათხოვრეს.




ალფონსო პერესი ბედნიერების წლებს დაუბრუნდა

„ბარსას" ახლადდანიშნულმა ჰოლანდიელმა მოძღვარმა ლუის ვან გაალმა კი პირდაპირ განაცხადა, ალფონსო ჩემს გეგმებში ვერ ჯდებაო.

ჰოდა, ალფონსომ ფსონი „ბეტისზე" დადო — ის ხომ ჯერაც არ არის მხცოვანი.

**დავით თაგართქილაძე**

# წიხლი პრეზიდენტს

**კოსტარიკელი** ფეხბურთელები ქვეყნის ხელისუფლებას გასწყრომიან, რაც მსოფლიოს ჩემპიონატიდან დავბრუნდით, თქვენგან ყურადღება არ გვიგრძვნიაო. ნაკრების წევრთა აზრით, ისინი მუნდიალზე ღირსეულად გამოვიდნენ და მხოლოდ ბედმა უმუხთლათ, ჯგუფიდან რომ ვერ გაალწიეს.

კოსტა რიკის პრეზიდენტმა, სჯობს, გვიან, ვიდრე არასდროსო და ბედისგან დაჩაგრული ფეხბურთელები ნადიმზე გუშინწინლა მიიწვია. მათ კი ქვეყნის პირველ პირს სუფრაზე წიხლი უკრეს. წვეულებაზე მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, მწვრთნელი ალეშანდრე გიმარაეში და მისი თანაშემწეები მივიდნენ.

ფეხბურთელების საქციელმა ყველა გააოცა. ადგილობრივმა მედიამ, რომელიც აქამდე ხოტბას ასხამდა ნაკრებს, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტიკოები.

**ზურაბ რუხაძე?**



ალეშანდრე გიმარაეშმა პრეზიდენტთან ფეხბურთელები ვერ გაიტყუა

**მსოფლიოს ჩემპიონატი** დასრულდა და ახლა ყველა შედეგების შეჯამებითაა გართული. უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გულშემატკივრებს მუნდიალის მონაწილე საუკეთესო ევროპელი მწვრთნელის გამოსავლენ გამოკითხვაში მონაწილეობაც შეეძლოთ.

გამოკითხვაში №1 ევროპელ მწვრთნელად თურქეთის ნაკრების თავკაცი შენოლ გიუნეში დასახელდა. მოგეხსენებათ, მან თურქული ფეხბურთის ისტორიაში ნაკრები არნახულ შედეგამდე — ბრინჯაოს მედლებამდე მიიყვანა. შენოლ გიუნეში თანამემამულეებმაც არანაკლებ დააფასეს. გმირად შერაცხული მწვრთნელის სახელი უკვე უამრავ ქუჩას თუ ხიდს დაარქვეს.

მეორე ადგილზე სამხრეთ კორეის ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი გავიდა. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კორეამ სწორედ თურქებთან დათმო მესამე ადგილისთვის მატჩი. მესამე საფეხური მუნდიალის ფინალისტმა გერმანელმა რუდი ფოლერმა დაიკავა, რომელსაც უკან მარად გაოფლილი ხოსე ანტონიო კამაჩო ამოუდგა — ესპანელთა თავკაცი მეოთხეა. ხუთეულს კი საკმაოდ სიმპათიური სენეგალის ნაკრების დამრიგებელი, ფრანგი ბრუნო მეტიუ ასრულებს.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# შენოლ პირველი

## ევროპა თურქულით დაავადდა



შენოლ გიუნეში თურქეთმაც დააფასა და ევროპამაც

# (მ)სოფლი(ო)ს ნაკრები

***მეკარე:*** ვოონ-იაე ლი (ს. კორეა);

***მცველები:*** მიუნგ-ბო ჰონგი (ს. კორეა), რობერტო კარლოსი, კაფუ (ორივე ბრაზილია), სოლ კემპბელი (ინგლისი);

***ნახევარმცველები:*** სანგ-ჩულ იოო (ს. კორეა), მიხაელ ბალაკი (გერმანია), დევიდ ბექემი (ინგლისი), ჰიდეტოში ნაკატა (იაპონია);

***თავდამსხმელები:*** სუნგ-ჰვანგ ანი, ჯი-სუნგ პარკი (ორივე ს. კორეა)

ერთ-ერთი ვერსიით, ეს მსოფლიოს ნაკრებია. გულშემატკივართა გამოკითხვა მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარდა და მასში 1,3 მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

საინტერესოა, რომ სიმბოლურ ნაკრებში ვერც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რონალდო და ვერც საუკეთესო ფეხბურთელი ოლივერ კანი მოხვდნენ. არაფერს ვამბობთ, მუნდიალზე თავგამოჩენილ სხვა მოთამაშეებზე. მსოფლიოს ნაკრების ამ შემადგენლობაზე კი არაფერს ვიტყვით, ყველაფერი თავად განსაჯეთ. ისე, ეტყობა, გამოკათხვაში მხოლოდ კორეელები მონაწილეობდნენ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

### ფეხბურთის რუკასთან



ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „ფიორენტინას" ლიდერი ენრიკო კიეზა კლუბის დატოვებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ფლორენციული კლუბი წლეულს ფინანსური კრიზისის გამო სერია A-ს დაემშვიდობა, კიეზა კი ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ მომჯობინდა. „ვარჯიში უკვე განვაახლე და „ფიორენტინასთან" სერია B-ში თამაში პრობლემებს არ შემიქმნის. გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და ჩემივე სურვილით ვრჩები" — განაცხადა კიეზამ.

**ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲘᲡ ნაკრების ყოფილი თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი ზაგრების ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს. მწვრთნელი წნევამ შეაწუხა. „მე, ალბათ, არ მოვკვდები" — განაცხადა მწვრთნელმა საავადმყოფოდან გამოწერისას და დაამატა — წლეულს ზაგრების „დინამო" უეფას თასზე წარმატებით ითამაშებსობსო.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ „იუვენტუსს" „რივერ პლეიტიდან" ახალგაზრდა ფორვარდის ფერნანდო კავენაგის გადაბირება სურს. 18 წლის ფეხბურთელმა წლეულს „რივერ პლეიტის" შემადგენლობაში 23 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ნაკრების ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი 2004 წლამდე გერმანულ „ბაიერნში" დარჩება, არადა, ფეხბურთელს კლუბის გამოცვლა და პრემიერლიგაში თამაშის სურდა. „ჰარგრივს ჩვენთან კონტრაქტი 2004 წლამდე აკავშირებს — განაცხადა „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ — იგი ვარსკვლავად ჩვენთან, მიუნხენში ჩამოყალიბდა და კონტრაქტის ამოწურვამდე არსად გავუშვებთ". ჰარგრივსის გადაბირება „მიდლსბროს" მთავარ მწვრთნელ სტივ მაკლარენს სურდა, რომელიც ფეხბურთელს ინგლისის ნაკრებში მუშაობისას გაეცნო.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ნაკრებისა და მილანის „ინტერის" გოლკიპერმა ფრანჩესკო ტოლდომ „სკუადრა ატურას" მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი გააკრიტიკა. „წლევანდელმა მუნდიალმა გამაოცა — განაცხადა ტოლდომ — თავი დასასვენებელ კურორტზე მეგონა, მე ვაფასებ ტრაპატონის, მაგრამ ნაკრებში ისეთი მოთამაშეები ჰყავდა, რომელნიც კორეაში დროის გასატარებლად უფრო იყვნენ ჩასულნი". შეგახსენებთ, რომ ტოლდო წლევანდელ მსოფლიოს პირველობაზე ბუფონის შემცვლელი იყო და მთელი ჩემპიონატი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

**ᲡᲔᲜᲔᲒᲐᲚᲘᲡ ნაკრების ლიდერ პაპე ბუბა დიოპს საფრანგეთის კარში გოლის გატანის გამო მშობლიურ ქალაქ რუფისკში ზეიმი მოუწყვეს და საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ზეიმისას ფეხბურთელს ჩანთა მოპარეს, სადაც ორი მობილური, ავტომანქანის გასაღები და 460 ევრო ჰქონდა. ამ ინცინდენტს დიოპისთვის ხასიათი არ წაუხდენია და თანაქალაქელებს მადლობა გადაუხადა დაფასებისთვის.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „ინტერი" ესპანური „რეალის" არგენტინელ ნახევარმცველ სანტიაგო სოლარითა და „ბეტისის" ახალგაზრდა მოთამაშით ,ხოაკინით დაინტერესდა. 21 წლის ფეხბურთელს ასევე „რეალი" და „ბარსელონა" ეპატიჟებიან. სხვადასხვა ინფორმაციით „ბეტისი" ფეხბურთელში 31 მილიონ დოლარს ითხოვს.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ინგლისის პრემიერლიგა 2002–2003

**17 აგვისტო, 2002**
საუთჰემპტონი — მიდლსბრო
ასტონ ვილა — ლივერპული
ბლექბერნი — სანდერლენდი
ჩარლტონი — ჩელსი
ევერტონი — ტოტენჰემი
ფულემი — ბოლტონი
ლიდსი — მანჩესტერ სიტი
მანჩესტერი — ვესტ ბრომვიჩი
ნიუკასლი — ვესტ ჰემი

**18 აგვისტო**
არსენალი — ბირმინგემი

**23 აგვისტო**
ჩელსი — მანჩესტერი

**24 აგვისტო**
მანჩესტერ სიტი — ნიუკალი
ბირმინგემი — ბლექბერნი
ვესტ ჰემი — არსენალი
ბოლტონი — ჩარლტონი
ლივერპული — საუთჰემპტონი
მიდლსბრო — ფულემი
სანდერლენდი — ევერტონი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა

**27 აგვისტო**
ჩარლტონი — ტოტენჰემი

**28 აგვისტო**
ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი
ბლექბერნი — ლივერპული
ევერტონი — ბირმინგემი
საუთჰემპტონი — ჩელსი
ლიდსი — სანდერლენდი
ფულემი — ვესტ ჰემი

**31 აგვისტო**
ბირმინგემი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ჩარლტონი
ბოლტონი — ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი — ევერტონი
მიდლსბრო — ბლექბერნი
სანდერლენდი — მანჩესტერი
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი — ფულემი

**1 სექტემბერი**
ჩელსი — არსენალი

**2 სექტემბერი**
ლივერპული — ნიუკასლი

**10 სექტემბერი**
მიდლსბრო — სანდერლენდი
არსენალი — მანჩესტერ სიტი

**11 სექტემბერი**
ფულემი — ტოტენჰემი
ლივერპული — ბირმინგემი
მანჩესტერი — ბოლტონი
საუთჰემპტონი — ევერტონი
ვესტ ჰემი — ვესტ ბრომვიჩი

**14 სექტემბერი**
ლიდსი — მანჩესტერი
ვესტ ბრომვიჩი — საუთჰემპტონი
ბოლტონი — ლივერპული
ჩარლტონი — არსენალი
ჩელსი — ნიუკასლი
ევერტონი — მიდლსბრო
მანჩესტერ სიტი — ბლექბერნი
სანდერლენდი — ფულემი

**15 სექტემბერი**
ბირმინგემი — ასტონ ვილა

**16 სექტემბერი**
ტოტენჰემი — ვესტ ჰემი

**21 სექტემბერი**
არსენალი — ბოლტონი
ვესტ ჰემი — მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა — ევერტონი
ლივერპული — ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერი — ტოტენჰემი
მიდლსბრო — ბირმინგემი
საუთჰემპტონი — ჩარლტონი

**22 სექტემბერი**
ნიუკასლი — სანდერლენდი

**23 სექტემბერი**
ფულემი — ჩელსი

**28 სექტემბერი**
ლიდსი — არსენალი
ბოლტონი — საუთჰემპტონი
ჩარლტონი — მანჩესტერი
ჩელსი — ვესტ ჰემი
ევერტონი — ფულემი
მანჩესტერ სიტი — ლივერპული
სანდერლენდი — ასტონ ვილა
ტოტენჰემი — მიდლსბრო

**30 სექტემბერი**
ვესტ ბრომვიჩი — ბლექბერნი

**5 ოქტომბერი**
არსენალი — სანდერლენდი
ვესტ ჰემი — ბირმინგემი
ფულემი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ბოლტონი
ნიუკასლი — ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი — მანჩესტერ სიტი

ინგლისური პრემიერლიგა ტრადიციულად სხვა ბობოლა ჩემპიონატებზე ადრე იწყება და ახალი სეზონისთვის კალენდარსაც ტრადიციულად პირველი აქვეყნებს.

ასევე ტრადიციულია ის ამბავიც, რომ ინგლისელებს ყველაზე მოუწესრიგებელი კალენდარი აქვთ. იშვიათად, რომ ოცდათვრამეტი ტურიდან რომელიმე სრულად ჩატარდეს და თამაშები არ გადაიდოს. შუა კვირაში ჩატარებულ მატჩებსაც სათვალავი არ აქვს.

ამიტომაც, აქ წარმოდგენილ კალენდარს ტურის ნომრების გარეშე გთავაზობთ. თუ გნებავთ, თავად გაარკვიეთ, რომელი მატჩი რომელ ტურს ეკუთვნის. წინდაწინვე გაფრთხილებთ, რომ ხშირ შემთხვევაში ურთულესი გასარკვევია


წინა სეზონში პრემიერლიგა არსენ ვენგერის „არსენალისა" იყო

**6 ოქტომბერი**
ბლექბერნი — ტოტენჰემი
ასტონ ვილა — ლიდსი
ლივერპული — ჩელსი

**7 ოქტომბერი**
მანჩესტერი — ევერტონი

**19 ოქტომბერი**
ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი
ბლექბერნი — ნიუკასლი
ევერტონი — არსენალი
ფულემი — მანჩესტერი
მანჩესტერ სიტი — ჩელსი
სანდერლენდი — ვესტ ჰემი

**20 ოქტომბერი**
ჩარლტონი — მიდლსბრო
ტოტენჰემი — ბოლტონი

**21 ოქტომბერი**
ასტონ ვილა — საუთჰემპტონი

**26 ოქტომბერი**
არსენალი — ბლექბერნი
ბირმინგემი — მანჩესტერ სიტი
ჩელსი — ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული — ტოტენჰემი
მანჩესტერი — ასტონ ვილა
მიდლსბრო — ლიდსი
ნიუკასლი — ჩარლტონი
საუთჰემპტონი — ფულემი

**27 ოქტომბერი**
ვესტ ჰემი — ევერტონი

**28 ოქტომბერი**
ბოლტონი — სანდერლენდი

**2 ნოემბერი**
ბირმინგემი — ბოლტონი
ვესტ ბრომვიჩი — მანჩესტერ სიტი
ბლექბერნი — ასტონ ვილა
ფულემი — არსენალი
ლიდსი — ევერტონი
ლივერპული — ვესტ ჰემი
მანჩესტერი — საუთჰემპტონი
ტოტენჰემი — ჩელსი

**3 ნოემბერი**
ჩარლტონი — სანდერლენდი

**4 ნოემბერი**
ნიუკასლი — მიდლსბრო

**9 ნოემბერი**
მანჩესტერ სიტი — მანჩესტერი
არსენალი — ნიუკასლი
ვესტ ჰემი — ლიდსი
ასტონ ვილა — ფულემი
ბოლტონი — ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი — ბირმინგემი
ევერტონი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ლივერპული
საუთჰემპტონი — ბლექბერნი

**10 ნოემბერი**
სანდერლენდი — ტოტენჰემი

**16 ნოემბერი**
არსენალი — ტოტენჰემი
ბირმინგემი — ფულემი
ბლექბერნი — ევერტონი
ჩელსი — მიდლსბრო
ლიდსი — ბოლტონი
ლივერპული — სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი — ჩარლტონი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი — ასტონ ვილა

**17 ნოემბერი**
ვესტ ჰემი — მანჩესტერი

**23 ნოემბერი**
მანჩესტერი — ნიუკასლი
ასტონ ვილა — ვესტ ჰემი
ბოლტონი — ჩელსი
ევერტონი — ვესტ ბრომვიჩი
ფულემი — ლივერპული
მიდლსბრო — მანჩესტერ სიტი
საუთჰემპტონი — არსენალი
სანდერლენდი — ბირმინგემი

**24 ნოემბერი**
ტოტენჰემი — ლიდსი
ჩარლტონი — ბლექბერნი

**30 ნოემბერი**
არსენალი — ასტონ ვილა
ბირმინგემი — ტოტენჰემი
ბლექბერნი — ფულემი
ჩელსი — სანდერლენდი
ლიდსი — ჩარლტონი
მანჩესტერ სიტი — ბოლტონი
ნიუკასლი — ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი — მიდლსბრო

**1 დეკემბერი**
ლივერპული — მანჩესტერი

**2 დეკემბერი**
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი

**7 დეკემბერი**
მანჩესტერი — არსენალი
ასტონ ვილა — ნიუკასლი
ბოლტონი — ბლექბერნი
ჩარლტონი — ლივერპული
ევერტონი — ჩელსი
ფულემი — ლიდსი
მიდლსბრო — ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი — ბირმინგემი
სანდერლენდი — მანჩესტერ სიტი

**8 დეკემბერი**
ტოტენჰემი — ვესტ ბრომვიჩი-

**14 დეკემბერი**
ასტონ ვილა — ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი — არსენალი
ჩარლტონი — მანჩესტერ სიტი
ევერტონი — ბლექბერნი
ფულემი — ბირმინგემი
მანჩესტერი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — ჩელსი
საუთჰემპტონი — ნიუკასლი

**15 დეკემბერი**
სანდერლენდი — ლივერპული

**16 დეკემბერი**
ბოლტონი — ლიდსი

**21 დეკემბერი**
არსენალი — მიდლსბრო
ვესტ ჰემი — ბოლტონი
ბირმინგემი — ჩარლტონი
ბლექბერნი — მანჩესტერი
ჩელსი — ასტონ ვილა
ლიდსი — საუთჰემპტონი
ნიუკასლი — ფულემი
ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი

**22 დეკემბერი**
ლივერპული — ევერტონი

**23 დეკემბერი**
მანჩესტერ სიტი — ტოტენჰემი

**26 დეკემბერი**
ბირმინგემი — ევერტონი
ვესტ ჰემი — ფულემი
ბოლტონი — ნიუკასლი
ლივერპული — ბლექბერნი
მანჩესტერ სიტი — ასტონ ვილა
სანდერლენდი — ლიდსი
ვესტ ბრომვიჩი — არსენალი
მიდლსბრო — მანჩესტერი

**28 დეკემბერი**
საუთჰემპტონი — სანდერლენდი
ასტონ ვილა — მიდლსბრო
ბლექბერნი — ვესტ ჰემი
ჩარლტონი — ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი — ბოლტონი
ფულემი — მანჩესტერ სიტი
ლიდსი — ჩელსი
მანჩესტერი — ბირმინგემი

**29 დეკემბერი**
ნიუკასლი — ტოტენჰემი
არსენალი — ლივერპული

**1 იანვარი, 2003**
არსენალი — ჩელსი
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი
ასტონ ვილა — ბოლტონი
ბლექბერნი — მიდლსბრო
ჩარლტონი — ვესტ ჰემი
ევერტონი — მანჩესტერ სიტი
ფულემი — ვესტ ბრომვიჩი
ლიდსი — ბირმინგემი
მანჩესტერი — სანდერლენდი
ნიუკასლი — ლივერპული

**11 იანვარი**
ბირმინგემი — არსენალი
ვესტ ჰემი — ნიუკასლი
ბოლტონი — ფულემი
ჩელსი — ჩარლტონი
ლივერპული — ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი — ლიდსი
მიდლსბრო — საუთჰემპტონი
სანდერლენდი — ბლექბერნი
ტოტენჰემი — ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი — მანჩესტერი

**18 იანვარი**
არსენალი — ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი — ლივერპული
ასტონ ვილა — ტოტენჰემი
ბლექბერნი — ბირმინგემი
ჩარლტონი — ბოლტონი
ევერტონი — სანდერლენდი
ფულემი — მიდლსბრო
ლიდსი — ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერი — ჩელსი
ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი

**28 იანვარი**
ბირმინგემი — მანჩესტერი
მიდლსბრო — ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი — ჩარლტონი

**29 იანვარი**
ჩელსი — ლიდსი
მანჩესტერ სიტი — ფულემი
ტოტენჰემი — ნიუკასლი
ვესტ ჰემი — ბლექბერნი

**1 თებერვალი**
არსენალი — ფულემი
ვესტ ჰემი — ლივერპული
ასტონ ვილა — ბლექბერნი
ბოლტონი — ბირმინგემი
ჩელსი — ტოტენჰემი
ევერტონი — ლიდსი
მანჩესტერ სიტი — ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო — ნიუკასლი
საუთჰემპტონი — მანჩესტერი
სანდერლენდი — ჩარლტონი

**8 თებერვალი**
ბირმინგემი — ჩელსი
ვესტ ბრომვიჩი — ბოლტონი
ბლექბერნი — საუთჰემპტონი
ჩარლტონი — ევერტონი
ფულემი — ასტონ ვილა
ლიდსი — ვესტ ჰემი
ლივერპული — მიდლსბრო
მანჩესტერი — მანჩესტერ სიტი
ნიუკასლი — არსენალი
ტოტენჰემი — სანდერლენდი

**22 თებერვალი**
ბირმინგემი — ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი — ვესტ ჰემი
ბოლტონი — მანჩესტერი
ჩარლტონი — ასტონ ვილა
ჩელსი — ბლექბერნი
ევერტონი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი — არსენალი
სანდერლენდი — მიდლსბრო
ტოტენჰემი — ფულემი

**1 მარტი**
არსენალი — ჩარლტონი
ვესტ ჰემი — ტოტენჰემი
ასტონ ვილა — ბირმინგემი
ბლექბერნი — მანჩესტერ სიტი
ფულემი — სანდერლენდი
ლივერპული — ბოლტონი
მანჩესტერი — ლიდსი
მიდლსბრო — ევერტონი
ნიუკასლი — ჩელსი
საუთჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი

**15 მარტი**
ასტონ ვილა — მანჩესტერი
ვესტ ბრომვიჩი — ჩელსი
ბლექბერნი — არსენალი
ჩარლტონი — ნიუკასლი
ევერტონი — ვესტ ჰემი
ფულემი — საუთჰემპტონი
ლიდსი — მიდლსბრო
მანჩესტერ სიტი — ბირმინგემი
სანდერლენდი — ბოლტონი
ტოტენჰემი — ლივერპული

**22 მარტი**
არსენალი — ევერტონი
ვესტ ჰემი — სანდერლენდი
ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი
ბოლტონი — ტოტენჰემი
ჩელსი — მანჩესტერ სიტი
ლივერპული — ლიდსი
მანჩესტერი — ფულემი
მიდლსბრო — ჩარლტონი
ნიუკასლი — ბლექბერნი
საუთჰემპტონი — ასტონ ვილა

**5 აპრილი**
ასტონ ვილა — არსენალი
ტოტენჰემი — ბირმინგემი
ბოლტონი — მანჩესტერ სიტი
ჩარლტონი — ლიდსი
ფულემი — ბლექბერნი
მანჩესტერი — ლივერპული
მიდლსბრო — ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი
სანდერლენდი — ჩელსი

**6 აპრილი**
ევერტონი — ნიუკასლი

**12 აპრილი**
არსენალი — საუთჰემპტონი
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა
ბირმინგემი — სანდერლენდი
ბლექბერნი — ჩარლტონი
ჩელსი — ბოლტონი
ლიდსი — ტოტენჰემი
ლივერპული — ფულემი
მანჩესტერ სიტი — მიდლსბრო
ნიუკასლი — მანჩესტერი
ვესტ ბრომვიჩი — ევერტონი

**18 აპრილი**
ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი

**19 აპრილი**
ასტონ ვილა — ჩელსი
ბოლტონი — ვესტ ჰემი
ჩარლტონი — ბირმინგემი
ევერტონი — ლივერპული
ფულემი — ნიუკასლი
მანჩესტერი — ბლექბერნი
მიდლსბრო — არსენალი
საუთჰემპტონი — ლიდსი
სანდერლენდი — ვესტ ბრომვიჩი

**21 აპრილი**
არსენალი — მანჩესტერი
ვესტ ჰემი — მიდლსბრო
ბირმინგემი — საუთჰემპტონი
ბლექბერნი — ბოლტონი
ჩელსი — ევერტონი
ლივერპული — ჩარლტონი
მანჩესტერ სიტი — სანდერლენდი
ნიუკასლი — ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი — ტოტენჰემი

**22 აპრილი**
ლიდსი — ფულემი

**26 აპრილი**
ბირმინგემი — მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი — ლივერპული
ბოლტონი — არსენალი
ჩარლტონი — საუთჰემპტონი
ჩელსი — ფულემი
ევერტონი — ასტონ ვილა
ლიდსი — ბლექბერნი
მანჩესტერ სიტი — ვესტ ჰემი
სანდერლენდი — ნიუკასლი
ტოტენჰემი — მანჩესტერი

**3 მაისი**
არსენალი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ჩელსი
ასტონ ვილა — სანდერლენდი
ბლექბერნი — ვესტ ბრომვიჩი
ფულემი — ევერტონი
ლივერპული — მანჩესტერ სიტი
მანჩესტერი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ტოტენჰემი
ნიუკასლი — ბირმინგემი
საუთჰემპტონი — ბოლტონი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **A ჯგუფი** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 002 | აარაუ-ბაზელი | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 20.30 | 003 | გრასჰოპერი-ვილი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 004 | გრასჰოპერი-ვილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 005 | ქსამაქსი-თუნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 006 | იანგ ბოიზი-ლუცერნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 007 | დელემონი-სერვეტი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **B ჯგუფი** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | კონკორდია-ვადუცი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 010 | ივერდონი-შაფჰაუზენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 011 | ივერდონი-შაფჰაუზენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 22.30 | 012 | ბელინცონა-ვოლენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 013 | კრინსი-ლოზანა | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 22.30 | 014 | სიონი-ვინტერთური | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **ავსტრია. სუპერთასი.** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.15 | 046 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინტერტოტო<br>მე-2 ეტაპი<br>1-ლი მატჩები** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 047 | კრილია-დინაბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 19.00 | 048 | კოლრეინი-ტრუა | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 19.00 | 049 | ფულემი-ჰაკა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 20.00 | 050 | სლავენი-ბელენენსეში | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.00 | 051 | გლორია-ტეუტა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 052 | აშდოდი-მარეკი (ნეიტრ.) | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 22.30 | 056 | ციურიხი-ლევადია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2.8 |
| 22.30 | 057 | სოშო-ჟალგირისი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 22.30 | 058 | ტილბურგი-სენტ გალენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 059 | გენტი-სენტ პატრიკსი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 00.30 | 053 | ვილიარეალი-პაფნარფიორდური | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 054 | ტორინო-ბრეგენცი | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 20.00 | 055 | ტეპლიცე-სანტა კლარა | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 060 | სინოტი-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.30 | 061 | მიუნხენი-ბატე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 21.00 | 062 | შტუტგარტი-ლოკერენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |

## ფორმულა 1. ბრიტანეთი. 7 ივლისი (14.00)

| | 5001 გამარჯვებული | 5101 სამეული | 5201 ექვსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,7 | 1,15 | 1,08 | 2,0 |
| ბარიკელო | 4,0 | 1,5 | 1,25 | 3,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,85 | 1,3 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 2,2 | 1,3 | 6,0 |
| კულტჰარდი | 9,0 | 2,5 | 1,3 | 12,0 |
| რაიკონენი | 15,0 | 4,0 | 1,45 | 20,0 |
| ბატონი | 40,0 | 10,0 | 2,4 | 50,0 |
| ტრული | 40,0 | 10,0 | 2,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 75,0 | 15,0 | 2,8 | 100,0 |
| მასა | 75,0 | 20,0 | 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 25,0 | 4,4 | 100,0 |
| ფრენცენი | 100,0 | 25,0 | 5,0 | 100,0 |

| 5003 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას | |
|---|---|
| 11 ან ნაკლები | 4,0 |
| 12 ან 13 | 3,5 |
| 14 ან 15 | 3,5 |
| 16 ან მეტი | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iᵇ კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# COME ON SKITA!

## ცქიტიშვილი დენვერში ქეიფით გააცილეს



ეს დღეებია, ნიკა ცქიტიშვილი დიდ შეხვედრა-გამოთხოვებაშია

— აქ რა ვაკეთო? წავალ დენვერში, სანამ ვარჯიშები დამეწყება, იქაურობას გავუშინაურდებიო — გადაუწყვეტია ნიკა ცქიტიშვილს და გუშინ დენვერს გაფრენილა. ეს ამბავი ნიკას დედამ, ქალბატონმა გულიკომ ტრევიზოდან ტელეფონით გვამცნო.

არადა, „სკიტა" ამერიკაში ჯერ არ უნდა გამგზავრებულიყო. დენვერამდე თბილისში ჩამოსვლას გეგმავდა, მაგრამ გადაიფიქრა, „დენვერის" ახალწვეულები — ნენე ილარიო და მარკუს კემბი იქ არიან და მეც იქ უნდა ვიყოო. ამერიკიდან წამოსვლისას დენვერელებს ქართველისთვის უთქვამთ, 14 ივლისს საზაფხულო კემპი იწყება და აქ იყავიო. თუ საქმე არა გაქვს, დარჩი და კემპისთვის მოემზადეო. ჩვენებური აბა, რას წარმოიდგენდა, დრაფტში ასე თუ გაუმართლებდა და შტატებს ცარიელ-ტარიელი სწვევია — ბარგი იტალიაში დაუტოვებია. ამიტომაც დაბრუნებულა ტრევიზოში.

გუშინწინ ნიკას ტრევიზოს ერთ-ერთ რესტორანში გაცილება მოუწყვეს. „დენვერ ნაგიტს" ახალწვეულს გზა დაულოცეს იტალიელმა მეგობრებმა და თანაგუნდელებმა. ზომიერად იქეიფეს და გვიან ღამით დაიშალნენ. მეორე დილით ნიკა ოკეანგაღმა გაემგზავრა.

**ირაკლი ბერტაია**

*აპრილში თბილისში მყოფმა ფიბა-ევროპის პრეზიდენტმა გიორგოს ვასილოკოპულოსმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია და ულებ-ი აუცილებლად გამონახავენ საერთო ენას და გაერთიანდებიან, მაგრამ ისე ჩანს, ძაღლი და კატა უფრო გაუგებენ ერთმანეთს, ვიდრე ეს ორნი.*



ულებ-თან მოვრიგდებით! განაცხადა თბილისურ პრესკონფერენციაზე გიორგოს ვასილოკოპულოსმა (მარცხნივ). არ გამოვიდა...

# შენ რომ ჩემთვის არ მოგიცია

## ფიბა და ულები: ვინ უფრო უძლები?

სანამ ახალ სათქმელზე გადავალთ, ჯერ მათ ძველ მოქიშპეობაზეც გეტყვით. ორი წლის წინ ევროპული კალათბურთის ერთპიროვნული მმართველი ორგანო ფიბა იყო. მას ნაკლებად ანაღვლებდა ევროპული კლუბების ბედ-იღბალი და კონტინენტური ტურნირებიდან ამონაგები თანხის დიდ ნაწილს თავისთვის იტოვებდა. ბოლოს კლუბებმა, ეგრე არ ივარგებსო, დამოუკიდებელი ორგანიზაცია ულებ-ი (ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირი) დააფუძნეს. ულებ-ი თანდათან იხვეჭდა პოპულარობას, მის მიერ ორგანიზებულ ევროლიგას სულ ახალ-ახალი ქვეყნების კლუბები უერთდებოდნენ. გასულ სეზონში კი ევროლიგამ ევროპის ჭეშმარიტად წამყვან ძალას მოუყარა თავი, 32-გუნდიანი, საინტერესო ტურნირი მოაწყო. შესაბამისად, ახლა ულებ-ის სალარო გაივსო... რამდენიმე თვის წინ კი პოზიციებდაკარგულ ფიბას ევროპა გამოეყო და დამოუკიდებელი ორგანო — ფიბა-ევროპა შექმნა, რომელმაც გადაწყვიტა, ევროპაში საკალათბურთო წესრიგი ერთმა ძალამ ანუ თავად დაამყაროს. მის პრეზიდენტს, გიორგოს ვასილოკოპულოსს იმედი ჰქონდა, რომ ულებ-ს დაიმეგობრებდა და ამისკენ შესაბამისი ნაბიჯიც გადადგა, ახალი საერთო ტურნირის გამართვა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ფიბა-ევროპა ულებ-ს აბრალებს შეთანხმება-გაერთიანების ჩაშლას.

ახლა კი მოდით, იმ ადგილიდან განვაგრძოთ თხრობა, ულებ-ის სალარო ევროლიგიდან შემოსული ევროებით რომ გაივსო. ჰოდა, როგორც ჩანს, ულებ-ს ისეთივე შეცდომა მოსდის, რისთვისაც ეს ორგანიზაცია თავის დროზე ფიბა-ს გამოეყო — მსუნაგი გახდა. პირველი, ვინც ულებ-ის მომხვეჭელობაზე ხმა აღიმაღლა, ვინ ვინ, და თავად ევროლიგის შარშანდელი ჩემპიონი „პანათინაიკოსია". ბერძნული კლუბის განცხადებით, ულებ-ს მისი 3 მილიონი დოლარი მართებს, რომელიც ტურნირში მონაწილეობისთვის ერგება. „პანათინაიკოსი" ულებ-ს ასევე ტელერეპორტაჟებიდან შემოსული თანხის მასსა და კლუბებს შორის არასამართლიანად განაწილებაში ადანაშაულებს. ამის გამო ბერძნულმა კლუბმა ულებ-ს ფეხი უკრა 2 ივლისს ბარსელონაში გამართულ საევროლიგო კენჭისყრაზე და ახლა აღშფოთებულია იმით, რომ სურვილის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთ ჯგუფში მაინც ჩარიცხეს.

ამ ამბავმა, ცხადია, ფიბა-ევროპის წისქვილზე დაასხა წყალი და „პანათინაიკოსს" სასწრაფოდ საგანგებოდ ბობოლებისთვის შექმნილ „ოქროს ჯგუფის" ტურნირში შესთავაზა თამაში. ფიბა-ევროპისთვის სასარგებლოა ის ფაქტიც, რომ ევროლიგამ გუნდების რაოდენობა 32-დან 24-მდე შეამცირა და ბევრი მის მიღმა დარჩენილი კლუბი გაანაწყენა. თანაც ვასილოკოპულოსის ორგანიზაციას კიდევ ერთი მძლავრი კოზირი უპყრია, კერძოდ ის, რომ ულებ-ს თანამედროვეობის ძლიერ კლუბებთან აქვს კონტრაქტები და მნიშვნელობა არ აქვს, ეს კლუბები თავ-თავიანთ ჩემპიონატში გაიმარჯვებენ თუ ლიგიდან გავარდებიან, ევროლიგაში თამაში გარანტირებული აქვთ. ამიტომაცაა, რომ წლეულს ევროლიგაში, დავუშვათ, მოსკოვის ცსკა ითამაშებს, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში სამეულშიც ვერ მოხვდა და არა ჩემპიონი „ურალ გრეიტი". ევროლიგისმიღმა დარჩენილთ — „სკავოლინის", „პარტიზანს", „ოსტენდეს", „ურალ გრეიტსა" და სხვებს, შარშანდელი ევროლიგის გამარჯვებულიც შეუერთდა, რომელიც, სხვათა შორის, საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალშიც ვერ გავიდა.

„პანათინაიკოსმა" ევროლიგას ბოლო ვადად 15 ივლისი დაუნიშნა, თუ კუთვნილ სამ მილიონს არ მომცემ, აგერაა ფიბა-ევროპა და მისი „ოქროს ჯგუფიო". ვინძლო, ამ საქმეში ფული არაფერ შუაში იყოს და ერთი კაცის ხელი ერიოს. ფიბა-ევროპის პრეზიდენტი გიორგოს ვასილოკოპულოსი მანამდე ხომ საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციას თავკაცობდა. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ სხვა ბერძნულ კლუბებსაც გადაუწყვეტიათ ჯანყი. „პანათინაიკოსის" გზას „ოლიმპიაკოსიც" დასდგომია.

**ირაკლი ბერტაია**

# ამერიკული ამბავი

## ყაჩაღი ყაჩაღობს, პოლიცია პოლიციელობს

**ამ კვირა** დღეს მზიურ ქალაქ ორლანდოში მყუდროება დაირღვა. ორი ბოროტმოქმედი თავს დაესხა „ორლანდო მეჯიქის" ცნობილი კალათბურთელის ტროი ჰადსონის საცხოვრებელ სახლს. მოწმეთა ჩვენების მიხედვით, სახლთან მიმდგარი მანქანიდან გადმოსულ ორ პირს ცეცხლი გაუხსნია ჰადსონის საცხოვრებლისთვის. შინ მყოფთაგან არავინ დაშავებულა, მაგრამ ბოროტმოქმედთა სროლის არეში მოექცა სამი შემთხვევითი გამვლელი, რომელთაგან ერთი, 20 წლის კერიკ რიდი, სასიკვდილოდ დაიჭრა.

ეს იყო ჰადსონის სახლზე თავდასხმის მეორე შემთხვევა ბოლო სამ დღეში. მძარცველები, სავარაუდოდ იგივენი, ორი დღის წინ კალათბურთელის სახლში შეიჭრნენ და იქიდან რამდენიმე ასეული დოლარი და ძვირფასეულობა წაიღეს. სურდათ აგრეთვე ჰადსონის მანქანის გასაღებიც, მაგრამ ვერ იპოვეს და გაცეცხლებულები შინ მყოფთ, კერძოდ კალათბურთელის ოჯახს და რამდენიმე სტუმარს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

თავად ჰადსონი ძარცვისას შინ არ ყოფილა და ეს ამბავი რომ გაიგო, აღარც მიბრუნებულა, სადღაც ქალაქის გარეუბანში დაბინავდა და იქ შეიტყო, ძარცვიდან ორი დღის შემდეგ მომხდარი მკვლელობის შესახებ. მოკლული მისი მეზობელი ბიჭი აღმოჩნდა და კალათბურთელმა ჟურნალისტთა პირით შეუთვალა სამძიმარი ჭირისუფლებს.

ჰადსონი ვერ ხსნის მის სახლზე ორჯერ თავდასხმის მიზეზს. ჯერჯერობით ამაზე პასუხი არც ქალაქის პოლიციას აქვს, თუმც სავარაუდოდ, დეტალები მალე გაირკვევა. ამერიკული ფილმებიდანაც ვიცით და აი, ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ ამ ქვეყნის პოლიცია მუშაობს. სამართალდამცავებმა დიდ ხანს არ ალოდინეს ამ საქმის გაგრძელებით დაინტერესებული საზოგადოება, დააკავეს ვინმე კენტადეუს ტეილორი, რომელმაც დანაშაული აღიარა. ეგაა, 25 წლის მკვლელმა არაფრისდიდებით არ გასცა თანადამნაშავე. უცნობია, რა მეთოდებს იყენებდა ამერიკული პოლიცია მის გამოსატეხად, თუმც ვეჭვობთ, ზოგიერთ უმუქო ქვეყანაში პოპულარული ელექტრომოწყობილობები გამოეყენებინათ.



# ტრინიდადი კრივს გამოეთხოვა

**რინგს** გამოეთხოვა სამი წონის ჩემპიონი და ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე ფელიქს (ტიტო) ტრინიდადი. ამის შესახებ მისმა ვექილმა ნიკოლას მედინამ გამოაცხადა.

ტრინიდადს, რომელიც ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის, თავის მამასთან ტრინიდად როდრიგესთან უთათბირია და ამის შემდეგ გადაუწყვეტია კრივიდან წასვლა. მამა მისი მენეჯერი და მწვრთნელი იყო მთელი კარიერის განმავლობაში. სწორედ მას უთქვამს ვექილ მედინასთვის, რომ ტიტო ჯანმრთელი და მდიდარი ანებებს თავს კრივს და ეს საბოლოოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც პრომოუტერ დონ კინგს ესაუბრა.

ამ მომენტისთვის ტრინიდადი არაფრის ჩემპიონი იყო: შარშან ბერნარდ ჰოპკინსთან ბრძოლაში დაკარგა ტიტული საშუალო წონის ქამართა გამაერთიანებელ შერკინებაში. ამის შემდეგ ტრინიდადს სურდა რემატჩში შერკინებოდა ჰოპკინსს, მაგრამ დონ კინგს უთქვამს, ეს საქმე არ გამოვაო და ტიტოსაც გადაუწყვეტია, ვისაც მინდა, იმას თუ ვერ შევხვდები, სხვების ჯობნას აზრი არ აქვს და რინგზე რაღა მესაქმებაო.

ტომით პუერტორიკოელ ტრინიდადს სიყმაწვილიდანვე ეტყობოდა, რომ დიდებული მოკრივე შეიქნებოდა. მოყვარულად სულ 57 ბრძოლაში იკრივა და 1993 წელს უკვე ფედერაციის (იბფ) ველტერის წონის ჩემპიონი იყო. ამას მოჰყვა ზე-ველტერის ჩემპიონობა. სწორედ ტრინიდადმა დაამარცხა „ოქროს ბიჭუნად" წოდებული ოსკარ დე ლა ჰოია პირველმა, შემდეგ კი ეფექტური გამარჯვებებით აბარგდა უფრო დიდ წონაში. საშუალო წონის ტიტული ტიტომ უილიამ ჯოპის აართვა, მაგრამ ჰოპკინსთან დიდი ბრძოლის მე-12 რაუნდში თავად იგემა ნოკაუტი და უტიტულოდ დარჩა. ეს იყო შარშან, 28 სექტემბერს.

კარიერაში 42 ბრძოლიდან ტრინიდადმა ერთადერთი წააგო და გადაიხადა 21 საჩემპიონო ორთაბრძოლა. ის დღემდე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო წონათაშორის მოკრივედ და ყოველთვის მზად იყო საბრძოლველად. მან 15-ჯერ დაიცვა რაგინდარა საჩემპიონო ტიტული და მოწინააღმდეგეებს 34 ნოკაუტი აგემა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ოსკარ დე ლა ჰოია პირველმა ფელიქს ტრინიდადმა დაამარცხა

## ტურ დე ფრანსი 2002

# ფიესტა ფრანგულად

*მერედა რა, რომ ეს პამპლონაში არ ხდება, ანდა რა შავდება იმით, რომ ამ, საუკუნის ტრადიციის მქონე მოვლენამ ხარებისა და თვითნაკეთი მულეტების გარეშე ჩაიაროს?! რით არ არის ტურ დე ფრანსი ფიესტა, დღესასწაული, რომელიც ხან სად იწყება, ხან სად, მერე კი მთელ საფრანგეთს მოედება და ბოლოს პარიზში, ელისეს მინდვრებზე იფეთქებს ხოლმე ულამაზეს ფეიერვერკად.*

დღეს ტურ დე ფრანსის სტარტია. დღეს ლუქსემბურგში 189 ველომრბოლი დაადგება 3300-კილომეტრიან ილაჯგამწყვეტ გზას. სიცხე, წვიმა და ქარი, პირინეებისა და ალპების მთები, გამარჯვებები და მარცხის სიმწარე, ტრავმები... ეს ყველაფერი წინ არის. 21 დღე გაგრძელდება წამებთან, ალმართებთან, მეტოქეებსა და საკუთარ თავთან ბრძოლა. ბრძოლა, რომელიც დანაკარგებსაც გულისხმობს — ყველა ვერ მივა მარათონის ფინიშთან, ყველასთვის არ გაბრწყინდება ქუჩებში გამოფენილი პარიზი. კიდევ უფრო ცოტანი მიიღებენ ჯილდოებს ოსტატობისა და გამძლეობისთვის და მხოლოდ ერთი იქნება ჩემპიონი!



ტრიუმფატორი ტრიუმფალურ თაღთან:
შარშან ლენს არმსტრონგმა ტური ზედიზედ მესამედ მოიგო

ამერიკელ ლენს არმსტრონგს, ეტყობა, დიდი გეგმები აქვს. საერთოდ, მალა ჭამაში მოდის და, ტურის სამგზის ჩემპიონი მეოთხე და მეხუთე ნაბიჯების გადადგმასაც აპირებს, რის შემდეგაც ავტომატურად შეუერთდება დიდ ოთხეულს, იმათ, ვისაც ტურ დე ფრანსი ხუთჯერ მოუგიათ.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამერიკელს შეიძლება კოვზი ნაცარში ჩაუვარდეს. ჯერ ერთი, ტურის კიდევ ორჯერ მოგება ელისეს მინდვრებზე გასეირნება არ არის და მეორეც — დიდი ოთხეულის ყველა წევრს, ჟან ანკეტილსაც, ედი მერქსსაც, ბერნარ ინოსაც და მიგელ ინდურაინსაც ტურის გარდა ორი დანარჩენი მრავალდღიანებიც მოუგიათ: ედი მერქსს ჯიროზე ხუთჯერ უმარჯვია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, „კაციჭამიას" სამ სეზონში მოუგია ჯირო და ტური წყვილად. ერთი სიტყვით, ლენს არმსტრონგი ის კაცია, ვინც წელიწადში ერთადერთ სერიოზულ შეჯიბრებაში იმარჯვებს, ეს კი, საფიქრებელია, რომ ხელს შეუშლის დიადთა გვერდით დადგომაში.

სპეციალისტები სხვასაც აღნიშნავენ: ამ ბოლო სამ წელიწადში მის მეტოქეებს შორის არ არიან ხან იან ულრიხი, ხან მარკო პანტანი, ხან ალექს ცულე, ხანაც სამივე ერთად. ამასობაში აქა-იქ ბარტყებიც დაფრთიანდნენ, მაგრამ ოსკარ სევილიას, ფრანსისკო მანსეროს, დენის მენშოვსა და კიდევ რამდენიმეს ალბათ გაუჭირდებათ გამოცდილებით დამძიმებულ ამერიკელთან (30 წლისაა) პირისპირ შებმა. კაცმა არ იცის, როგორი ფორმით გაუყვებიან ტურის წლევანდელ და, უნდა ითქვას, საკმაოდ რთულ ტრასას ბობი ჯულიჩი, ხოსება ბელოკი, პაოლო სავოლდელი ან დარიო ფრიგო. და საერთოდ, ყოველთვის არის იმის ალბათობა, რომ საიდანღაც, ყველასთვის მოულოდნელად გამოხტეს ნიჭიერი ბიჭი, რომლის შესახებაც კაციშვილმა არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, მრავალდღიან ველორბოლებში მსგავსი „სენსაციები" იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც...

საერთო ჩათვლაში გამარჯვების გარდა ტურ დე ფრანსში სხვა ნომინაციებიც არის.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საერთო ჩათვლაში ლიდერი ყვითელი მაისურით ასპარეზობს, ჩემპიონობისთვის კი ჯილდოდ 400 000 ევროს მიიღებს.

მთის მეფე: წითელკოპლებიანი მაისურა. ქულები ეწერებათ თითოეულ მთაზე ასვლის მიხედვით. მთებიც კატეგორიებად არის დაყოფილი. უმაღლესი კატეგორიის მთის ფინიშზე პირველად მისულს 40 და ა.შ. პირველი კატეგორიის მთის „დაპყრობისთვის" 30 ქულაა დაწესებული. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები შესაბამისად ნაკლებ ქულებს იღებენ. ის, ვინც მთელი ტურის განმავლობაში ყველაზე მეტ ამგვარ ქულას დააგროვებს, მთის მეფედ ცხადდება. სხვათა შორის, ხუთჯერ(!) იყო მთის მეფე წლევანდელ ტურში მონაწილე ფრანგი რიშარ ვირანკი.

საუკეთესო სპრინტერი: მწვანე მაისურა. ქულები ეწერებათ ვაკე-ეტაპისა და საშუალედო ფინიშების მოგებისთვის. ეტაპის საბოლოო ფინიში ალბათ ყველასთვის გასაგებია, რაც არის, საშუალედო ფინიშები კი ეტაპის რამდენიმე ადგილას (ვაკე ადგილებზე) არის მოწყობილი. ცხადია, რომ ეტაპის საბოლოო ფინიშზე გამარჯვებისთვის სპორტსმენი მეტ ქულას იღებს.

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი: თეთრი მაისურა. ფაქტობრივად, ეს არის 24 წლამდე ასაკის საუკეთესო ველომრბოლი.

ყველაზე აქტიური ველომრბოლი: ჯილდოს იღებს ის, ვინც ყველაზე ხანგრძლივად შეძლებს პელოტონისგან დამოუკიდებლად რბოლას. იგულისხმება საერთო ჯგუფიდან გამოყოფა. ამ კატეგორიის სპორტსმენებს დიდის წინ მორბენლებსაც უწოდებენ, რადგან ფინალი სწორედ ისეთი გამოდგება ხოლმე, ანდაზა რომ ამბობს.

საუკეთესო გუნდი: იკრიბება თითოეულ ეტაპზე ყოველი გუნდის სამი საუკეთესო შედეგი. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც მთელი ტურის მანძილზე ყველაზე ნაკლები დრო ალმოაჩნდება.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### გუნდები და ლიდერები

**AG2R** (საფრანგეთი) უცნაურია, მაგრამ გუნდის ლიდერი იან კირსიპუუ სპრინტერია. მიზეზი: კარგი მთიელის არყოლა

**ალესიო** (იტალია) ლიდერები: ლორან დიუკი და ივან გოტი

**ბონჟურ** (საფრანგეთი) გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს.

**კოფიდისი** (საფრანგეთი) ლიდერი: დავით მილარი

**კრედიტ აგრიკოლა** (საფრანგეთი) ლიდერი: კრისტოფ მორო

**CSC-ტისკალი** (იტალია) ლიდერები: ლორან ჟალაბერი და ტაილერ ჰამილტონი

**ტელეკომი** (გერმანია) გუნდმა ტრავმის გამო დაკარგა გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კანდიდატი იან ულრიხი, რომელიც ამ დღეებში დოპინგზეც ჩავარდა. ლიდერის ფუნქციებს ალბათ ბობი ჯულიჩი იკისრებს. სპრინტერი — ერიკ ზაბელი

**დომო** (ბელგია) ლიდერი: რიშარ ვირანკი

**ეუსკალტელი** (ესპანეთი) ლიდერები: დავიდ ეჩებერია და რობერტო ლაისეკა

**ფასა ბორტოლო** (იტალია) ლიდერი: ვლადიმირ ბელი

**FDJEUX** (საფრანგეთი) გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს.

**ბანესტო** (ესპანეთი) ლიდერები: ფრანსისკო მანსებო და დენის მენშოვი

**ჟან დელატურ** (საფრანგეთი) ლიდერი: ლორენ ბროშარი

**კელმე** (ესპანეთი) ლიდერები: ოსკარ სევილია და სანტიაგო ბოტერო

**ლამპრე** (იტალია) გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. სპრინტერი — იან სვორადა

**ლოტო** (ბელგია) გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს.

**მაპეი** (იტალია) გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. სპრინტერი — ტომ სტეელსი

**ონსე** (ესპანეთი) ლიდერი: ხოსება ბელოკი

**რაბობანკი** (ჰოლანდია) ლიდერი: ლევი ლაიპჰაიმერი

**ტაკონი** (იტალია) ლიდერი: დარიო ფრიგო

**US პოსტალი** (აშშ) ლიდერი: ლენს არმსტრონგი




### ტურ დე ფრანსის გეზი და განრიგი

| | |
|---|---|
| 6 ივლისი. პროლოგი | 18 ივლისი. XI ეტაპი |
| ლუქსემბურგი 6,5 კმ | პო — ლა მონჟიე 158 კმ |
| 7 ივლისი. I ეტაპი | 19 ივლისი. XII ეტაპი |
| ლუქსემბურგი — ლუქსემბურგი 195 კმ | ლანემეზან — პლატ დე ბეილე 198 კმ |
| 8 ივლისი. II ეტაპი | 20 ივლისი. XIII ეტაპი |
| ლუქსემბურგი — საარბრიუკენი 176 კმ | ლაველანე — ბეზიე 166 კმ |
| 9 ივლისი. III ეტაპი | 21 ივლისი. XIV ეტაპი |
| მეცი — რეიმსი 185 კმ | ლოდევი — მონვენტუ 220 კმ |
| 10 ივლისი. IV ეტაპი | 22 ივლისი. |
| ეპერნე — შატო-ტიერი გუნდური რბოლა, 68 კმ | დასვენების დღე |
| 11 ივლისი. V ეტაპი | 23 ივლისი. XV ეტაპი |
| სუასონი — რუანი 198 კმ | ვეზონ-ლა-რომენი — ლე დეზ ალპი 226 კმ |
| 12 ივლისი. VI ეტაპი | 24 ივლისი. XVI ეტაპი |
| ფორჟ-ლეზო — ალანსონი 198 კმ | ლე დეზ ალპი — ლა პლანი 179 კმ |
| 13 ივლისი. VII ეტაპი | 25 ივლისი. XVII ეტაპი |
| ბანიოლ დე ლორნი — ავრანში 173 კმ | ეგი — კლუზი 141 კმ |
| 14 ივლისი. VIII ეტაპი | 26 ივლისი. XVIII ეტაპი |
| სან-მარტინ-ლანდელ — პლუაი 214 კმ | კლუზი — ბურგ-ან-ბრესი 180 კმ |
| 15 ივლისი. IX ეტაპი | 27 ივლისი. XIX ეტაპი |
| ლანესტერი — ლორიანი ინდივიდუალური რბოლა, 55 კმ | რენიე-დიურტი — მაკონი ინდივიდუალური რბოლა, 52,5 კმ |
| 16 ივლისი. | 28 ივლისი. XX ეტაპი |
| დასვენების დღე | მელუნი — პარიზი (ელისეს მინდვრები) 145 კმ |
| 17 ივლისი. X ეტაპი | |
| ბაზა — პო 147 კმ | |



REUTERS ლუქსემბურგიდან

გუშინდელი ვარჯიში ლუქსემბურგში: დღეს პატარა ქვეყანაში დიდი სტარტია

### გამარჯვებულები 1992–2001

2001 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2000 ლენს არმსტრონგი
1999 ლენს არმსტრონგი
1998 მარკო პანტანი (იტალია)
1997 იან ულრიხი (გერმანია)
1996 ბიარნ რიისი (დანია)
1995 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1994 მიგელ ინდურაინი
1993 მიგელ ინდურაინი
1992 მიგელ ინდურაინი

### ტურ დე ფრანსი 2001

1. ლენს არმსტრონგი (აშშ)
2. იან ულრიხი (გერმანია)
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი)
4. ანდრეი კოვალიოვი (ყაზახეთი)
5. იგორ გონსალეს ვალდეანო (ესპანეთი)
6. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი)
7. ოსკარ სევილია (ესპანეთი)
8. სანტიაგო ბოტერი (ესპანეთი)
9. მარკოს სერანო (ესპანეთი)
10. მაიკლ ბოგარდი (ჰოლანდია)




ედი მერქსი: ტურის ხუთგზის მომგებთაგანი

### ქვეყანათა მონაგარი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 36 | ჰოლანდია | 2 |
| ბელგია | 18 | გერმანია | 1 |
| იტალია | 9 | ირლანდია | 1 |
| ესპანეთი | 8 | დანია | 1 |
| აშშ | 6 | | |
| ლუქსემბურგი | 4 | | |
| შვეიცარია | 2 | | |

*მეთვრამეტე წელია, ტურ დე ფრანსს უცხოელები იგებენ*

# ფორმულა საშუობიაროში

## მანქანიდან უფრთებო თვითმფრინავამდე



ჯუზეპე ფარინას საჩემპიონო „ალფა-რომეო"

ფორმულა 1 ინგლისში, სილვერსტოუნის ავტოდრომზე დაიბადა 1950 წლის 13 მაისს. იმ შაბათ დღეს ლონდონიდან ასიოდე კილომეტრის დაშორებით, სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე მსოფლიოს ზეისტორიული ჩემპიონატის პირველი ეტაპის მონაწილეები შეიკრიბნენ. სტარტზე 21 მანქანა იდგა, ცხადია, კვალიფიკაციაში ნაჩვენები შედეგების შესაბამისად.

პირველი პოული 44 წლის იტალიელმა ჯუზეპე „ნინო" ფარინამ („ალფა-რომეო") მოიპოვა. მეორე და მესამე დრო მის თანაგუნდელებს — ლუიჯი ფაჯიოლის და ხუან მანუელ ფანხიოს ჰქონდათ. რბოლის დისტანცია დღევანდელი ნორმისგან (305-310 კმ) ბევრით არ განსხვავდებოდა — 4,7 კილომეტრი სიგრძის წრე მრბოლებს 70-ჯერ უნდა შემოევლოთ, რაც 329 კილომეტრს შეადგენდა. ფინიშამდე 12 ბოლიდმა მიაღწია. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრს ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. სტარტიდან 53 წლის ფაჯიოლი გაიჭრა წინ და კარგა ხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ თანამემამულეს ფინიშთან დოქტორმა „ნინომ" მიასწრო. მომავალ ხუთგზის ჩემპიონ არგენტინელ ფანხიოს ძრავამ უმტყუნა, რის გამოც მესამე ადგილზე გავიდა ასევე „ალფეტათი" მოასპარეზე მასპინძელი რეჯი პარნელი. ერთი საჯინიბოს ასეთი წარმომადგენლობა დღეს შეუძლებელია, რადგან ყოველი გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ორი პილოტია.

ფარინას „ალფა-რომეო ტიპ 158"-მა დისტანცია 2 საათსა და 13,5 წუთში დაფარა 155,0 კმ/სთ საშუალო სიჩქარით. ძრავის სიმძლავრე მაშინ სამასიოდე ცხენის ძალას ძლივს სცილდებოდა. გამარჯვებული რვა ქულას იღებდა, მომდევნო ოთხ ადგილზე გასულები შესაბამისად 6, 4, 3 და 2 ქულას, ხოლო დამატებითი ერთი პრემიალური ქულა უსწრაფესი წრის ავტორს ერიცხებოდა.

პირველი ჩემპიონატის კალენდარში ექვსი ევროპული და ერთიც ინდიანაპოლისის (აშშ) 800-კილომეტრიანი ეტაპი იყო, რომელთაგან ჩათვლას ოთხი საუკეთესო შედეგი იძლეოდა. ქულათა დარიცხვის მსგავსი სისტემა 1991 წლამდე მოქმედებდა. მას აქეთ უკლებლივ ყველა რბოლის ქულები ითვლება, გამარჯვება კი ჯერ ცხრა, ამჟამად ათ ქულად ფასობს, ხოლო ის კინკილა ქულა მეექვსეადგილოსანს ერგება.

პირველი ჩემპიონატი „ალფა-რომეოს" სამი „ფას" ტრიუმფით აღინიშნა: პირველობა ფარინამ მოიპოვა სულ რაღაც 30 ქულით, ფანხიო მას 3 ქულით ჩამორჩა, მესამე ადგილზე ფაჯიოლი (24) გავიდა.

იმდროინდელი პრიმიტიული მანქანებით უხარისხო „ტრასებზე" ჯირითი იმდენად მომქანცველი იყო, რომ რბოლისას არც თუ იშვიათად მძღოლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ამგვარად ნაშოვნ ქულებს, ცხადია, ძმურად იყოფდნენ. მაშინ ბოლიდების წონა შეზღუდული არ იყო, სიმძლავრის გასაზრდელად კი ტურბოკომპრესორებს იყენებდნენ. ძრავა მანქანის წინა ნაწილში, „ცხვირში" მდებარეობდა, 60-იანი წლებიდან კი რკინის „გულს" მრბოლის ზურგსუკან მიუჩინეს ადგილი. ტურბინების გამოყენებამ ძრავების სიმძლავრე 1200 ცხენის ძალამდე გაზარდა, რამაც პილოტების სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეუქმნა. ამიტომ 1989 წლიდან ტურბოძრავები აიკრძალა და ცილინდრების მოცულობა 3000 კუბური სანტიმეტრით შემოიფარგლა, რაც 850 ცხენის ძალის ტოლფასია. ლიმიტირებულია ბოლიდის წონაც — მძღოლიანად, მაგრამ უსაწვავოდ, 600 კილოგრამზე ნაკლები არ უნდა იყოს. როცა მანქანა დასაშვებ ზღვარზე მსუბუქი გამოდის, დანაკლისს ბალასტით, კერძოდ, ვოლფრამის ნაჭრებით ავსებენ.

თანამედროვე მონსტრი ას კილომეტრზე 60 ლიტრ საწვავს ნთქავს, უწინდელ სიჩქარეებთან ხომ შედარებაც უაზროა. ფორმულა 1-ის სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი აწ პენსიონერ ჟან ალეზის ეკუთვნის, მისმა „ჯორდანმა" შარშან იტალიის დიდი პრიზის გათამაშებისას „მონცას" ტრეკზე 363,2 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

გუნდებს შორის გაამძაფრებულმა კონკურენციამ, ანუ გამარჯვებისკენ სწრაფვამ გაუგონარი ტექნიკური ბუმი გამოიწვია: ყველაფერი საუკეთესო — ფორმულაში. ბუნებრივია, ყველა ცდილობს ამ დევიზს მისდიოს, მაგრამ უფულო მაჩანჩალებს რა შეუძლიათ. ამიტომაცაა, რომ ისინი, უკეთეს შემთხვევაში, სატურნირო ცხრილის შუაში ყოფნითაც კმაყოფილდებიან.

საფორმულო გუნდის შენახვა დღეს ასეულობით მილიონები ჯდება. ხუთიოდე წლის წინ სამეფო რბოლებში უმდიდრეს „ფერარის" სეზონური ბიუჯეტი დაახლოებით 150 მილიონი დოლარი იყო. სადღეისოდ ეს თანხა თითქმის გაორმაგდა. ან კი რა გასაკვირია, როცა ერთი საშუალო დონის მანქანა მილიონი ღირს, „წითლებისა" შესაბამისად, საგრძნობლად მეტი. ბოლიდის მთავარი მამოძრავებელი მექანიზმის — ძრავას დამზადებას 260 000 სჭირდება, ამ მართლაც „ოქროს გულის" რესურსი კი სულ ორიოდე რბოლაა. 70-იანი წლების გენიალური კონსტრუქტორის კოლინ ჩეპმენის ფრთოსანი გამოთქმით — საუკეთესო საფორმულო ბოლიდი ისაა, რომელიც ფინიშამდე პირველი მივა და იქვე დაიშლება.

ერთ-ორ ძირითად ელემენტზეც ვიტყვით. მონოკოკის, ანუ უვიწროესი კაფსულის, რომელშიც პილოტი გაუნძრევლადაა ჩაჭედილი, დამზადება 130 ათასი დოლარი ჯდება. თითოეული საბურავის ფასი 600 დოლარია, ხოლო ერთი შეხედვით უმარტივესი მოწყობილობა — საჭე, რომლის ერთადერთი დანიშნულებაც ადრე წინა ბორბლების მიხვევ-მოხვევა იყო, დღეს ლამის კომპიუტერულ ცენტრად იქცა. თითქმის მთელი რბოლის პარამეტრები სწორედ საჭეზე დამონტაჟებული ღილაკებით რეგულირდება და რა გასაკვირია, თუკი 45 ათასი (!) დოლარი ღირს.

არ დაგავიწყდეთ, ეს ფასები საშუალო, ისე რა გუნდების ბოლიდებისაა. „ფერარის", „უილიამსს" და „მაკლარენს" გვარიანი კოეფიციენტები უნდა მივუყენოთ.

**გია ახალაძე**



დღევანდელი ჩემპიონი — მიხაელ შუმახერის „ფერარი"

# F 1

მეათე ეტაპი ბრიტანეთის დიდი პრიზი

## სილვერსტოუნი

სილვერსტოუნი, 7 ივლისი




ტრასის სიგრძე . . . . . . . . . . . . . . . . 5.141 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . . . . . . 60 წრე — 308.460 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე

**შარშანდელი შედეგები:** 1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 მ.შუმახერი (ფერარი) 3 ბარიკელო (ფერარი); 4 მონტოია (უილიამსი); 5 რაიკონენი (ზაუბერი); 6 ჰაიდფელდი (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2001 — ჰაკინენი (მაკლარენი) 1:23.405 (221,9კმ/სთ)

# მაკლარენს მეოთხეც უნდა, მაგრამ შუმახერს უნდა?!

**ინგლისი და იტალია** — საფორმულო რუკაზე მხოლოდ ეს ორი ქვეყანაა, სადაც რბოლები პირველივე ჩემპიონატიდან იმართება და ერთხელაც არ გამცდარა. „სილვერსტოუნი" ხვალ 36-ედ უმასპინძლებს ავტოსპორტის ყველაზე პრესტიჟული სახეობის წარმომადგენლებს. დანარჩენი 17 ეტაპი „ბრენდს ჰეჩსა" (12) და „ეინტრიზე" (5) ჩატარდა.

გაერთიანებული სამეფოს ტრასებზე ყველაზე უკეთ „მაკლარენი" ასპარეზობს. საუკეთესო ინგლისურმა გუნდმა მშობლიური დიდი პრიზი 12-ჯერ დაისაკუთრა, „ფერარი" ერთით ჩამორჩება, ხოლო „უილიამსს" ათი გამარჯვება აქვს. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი რბოლაც მაკლარენელებმა — დევიდ კულჰარდმა და მიკა ჰაკინენმა მოიგეს.

მიხაელ შუმახერის ფანტასტიკურ კარიერაში ბრიტანეთი ერთადერთია, სადაც შედეგიანობით მას სხვა, კერძოდ კულჰარდი ჯობნის. და მაინც, ხვალინდელ რბოლაში უმთავრეს ფავორიტად სწორედ მიხაელი ითვლება თავისი უნაკლო ბედაურის წლევანდელი, ზედიზედ ცხრაპოდიუმიანი სერიის გათვალისწინებით. ამასთან, „სილვერსტოუნი" საშუალო სირთულის, ჩქაროსნული ტრეკია და უპირატესობაც მძლავრძრავიანი ბოლიდების მხარესაა, ჯანით კი „მაკლარენი" საგრძნობლად ჩამორჩება „ფერარისაც" და „უილიამსსაც". რბოლის მსვლელობაზე დიდ გავლენას ახდენს ტრადიციული წვიმაც, თუმცა სინოპტიკოსები ამჯერად დარს ვარაუდობენ.

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, უილიამსელ ხუან პაბლო მონტოიას იქნებ არც უღირდეს პოულისთვის დღეს თავის მოკვლა, რადგან წინა სამ კვალიფიკაციაზე ყველას კი აჯობა, მაგრამ შემდეგ რბოლებში ერთხელაც ვერ მიაღწია ფინიშამდე. თანაც „სილვერსტოუნზე" ბოლო ოთხ წელს პოულის მომგებმა რბოლაში წარმატების მოპოვება ვერ შეძლო.

ფორმულის 53-წლიან ისტორიაში ხვალინდელ, 690-ე რბოლაში მიხაელ შუმახერის მე-60 გამარჯვებაა მოსალოდნელი, აგრეთვე მის მიერვე ლეგენდარული ალენ პროსტის უკანასკნელი მიღწევის, 106-პოდიუმიანი რეკორდის დამხობაც.


გუშინ ორივე ვარჯიშზე საუკეთესო შედეგი რუბენს ბარიკელოსი იყო

**წლევანდელთა ბრიტანული მონაგარი**

| | რბოლა | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | | |
| კულჰარდი | 8 | | | V | III | V | IV | გ | I | I | გ | 31 |
| მ. შუმახერი | 10 | IV | II | - | გ | გ | გ | I | გ | III | II | 29 |
| ვილნევი | 6 | | | | | I | I | - | გ | გ | - | 20 |
| ირვინი | 8 | | | გ | გ | გ | გ | III | II | - | - | 10 |
| ბარიკელო | 9 | | - | IV | - | IV | გ | გ | - | გ | III | 10 |
| რ. შუმახერი | 5 | | | | | | V | VI | III | IV | გ | 10 |
| ფრენცენი | 8 | | | - | VI | - | გ | გ | IV | გ | - | 4 |
| პანი | 7 | | | - | IV | გ | - | გ | - | | გ | 3 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | | | IV | 3 |
| ფიზიკელა | 6 | | | | | - | - | V | - | - | - | 2 |
| ბატონი | 2 | | | | | | | | | V | - | 2 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | | | V | 2 |
| ტრული | 5 | | | | | | - | გ | - | VI | გ | 1 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | | | | | | გ | VI | 1 |
| სალო | 5 | | | | - | - | გ | გ | | - | | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | | | - | 0 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | | | გ | გ | - | 0 |
| იონგი | - | | | | | | | | | | | - |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

### ტელევიზორის მამა

წარმატების ტკბილი სურნელი, ერთი სიმღერისა არ იყოს, როგორც მოვა, ისე წავა: ჯერ კიდევ ორი დღის წინ რიჩარდ კრაიჩეკი უიმბლდონზე გამარჯვების ერთ-ერთი უპირველესი პრეტენდენტი და მკვდრეთით აღდგომის წარმოუდგენელი ისტორიის მთავარი გმირი იყო, მის პრეს-კონფერენციებზე ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ ნახავდით. მეოთხედფინალში ჰოლანდიელს სულ ორი ქულა აშორებდა მოგებას, მაგრამ ქსავიე მილისთან მეხუთე სეტი 7:9 დათმო და მატჩის შემდეგ მასთან გასაუბრების მსურველი ერთადერთი ინგლისურენოვანი ჟურნალისტი აღმოჩნდი.

მომლოდინე ჰოლანდიელი კოლეგების აღშფოთებული გამოხედვის მიუხედავად, უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონს კითხვები დავაყარე, მერე ოთახიდან გამავალს კართან შევხვდი და ორიოდ წუთის დათმობა ვთხოვე. კრაიჩეკმა, რომელიც იდაყვის უმძიმესი ტრავმის შემდეგ 20-თვიანი უსაქმობის გამო კლასიფიკაციაში მხოლოდ 1093-ეა, ცოტა იყოყმანა და ისე დამთანხმდა, ოღონდ დრო მართლა არ მაქვსო.

**— ნახევარფინალის საგზურთან ახლოს ყოფნის შემდეგ საშინლად იმედგაცრუებული იქნებით, მაგრამ ამდენის მიღწევაც ალბათ ყველაზე თამამ მოლოდინზე მეტი იყო...**

— მართალია. თავიდან მეგონა, რომ მაქსიმუმ მესამე წრეში გავაღწევდი, ისიც თუ ძალიან გამიმართლებდა. მეტი რა ვთქვა, მალიორკაზე სახლი რომ ვიქირავე, ამ დროისთვის უკვე იქ ყოფნას ვგეგმავდი, ჩემი მეუღლე და შვილები სამი დღეა, იქ არიან.

**— თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების დროს იყო ისეთი მომენტები, როდესაც ეჭვობდით, დიდ სპორტს დაუბრუნდებოდით თუ არა?**

— არა ერთხელ და ორჯერ. ხშირად ვეკითხებოდი თავს, ოდესმე თუ მეღირსებოდა ტურნირზე ასპარეზობა. ყველაზე იმედგამცრუებელი ის არის, როდესაც ვარჯიშობ, ვარჯიშობ, ორიოდ კვირაც და სადმე უნდა ითამაშო და სწორედ მაშინ ტრავმა ხელმეორედ გაგიმიზეზდება. ეს ორჯერ დამემართა, შარშან ოქტომბერში და წლეულს გაზაფხულზე. მეორედ კინაღამ ხელი ჩავიქნიე. ასეთ შემთხვევაში ძნელია, მოტივაცია შეინარჩუნო. ასე მეგონა, ვარჯიშს აზრი აღარ ჰქონდა, ფაქტობრივად, მოწოლების გარდა არაფერზე ვმუშაობდი. ასეთ დროს ერთი კითხვაღა გიჩნდება, რატომ არ დანებდები და რაიმე სხვაზე არ გადაერთვები.

**— ბოლო ორი კვირის შედეგებმა დაგარწმუნათ, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ, როცა არ დანებდით?**

— რა თქმა უნდა. ჰოლანდიელ გულშემატკივრებთან შეხმატკბილებული დამოკიდებულება არასოდეს მქონია (კრაიჩეკი ჩეხი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა), მაგრამ როდესაც როზმალენში სამი კვირის წინ პირველად გამოვედი კორტზე, ფეხზე ამდგარნი, აპლოდისმენტებით შემხვდნენ. საოცარი გრძნობა დამეუფლა. არანაკლები სიხარული ვიგრძენი ფილიპუსისთან თამაშის დროსაც — მივხვდი, რომ სწორედ ამისთვის, მრავალათასიანი ტრიბუნების წინ სასპარეზოდ ღირდა დაბრუნება. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ზოგჯერ ესეც სასიამოვნოა. როდესაც შრომა დაგიფასდება და ამხელა სტრესის მერე ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებ, ერთიორად კმაყოფილი ხარ.

**— თქვენ საკმაოდ წარმატებული კარიერა გქონდათ. რომ არ დაბრუნებულიყავით, ყველაზე მეტად რაზე დაგწყდებოდათ გული, ჩოგბურთში კიდევ რისი მიღწევა გსურთ?**

— იმდენი რამეა გასაკეთებელი და ისე ცოტა დრო რჩება. ვფიქრობ, ყველაზე მეტად კიდევ ერთი დიდი სლემის ტურნირის მოგება მინდა. სწორედ ამიტომ ვარ საშინლად იმედგაცრუებული დღევანდელი წაგების შემდეგ, ვგრძნობდი, რომ ფინალში გაღწევის კარგი შანსი მქონდა, იქ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეიძლება, მე თამაში წამივიდეს, მეტოქე ცოტა განერვიულდეს — სასწაულები ხდება. ასე რომ, ბედნიერი ვარ მეოთხედფინალისტობით, და ამასთან ძალიან სევდიანი, რომ კიდევ უფრო წინ ვერ წავიწიე, „მეიჯორის" მოგების შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი. მსოფლიოს პირველჩოგნობასთან ერთად ეს ჩემი ერთ-ერთი მიზანია, თუმცა, ვფიქრობ, დიდი სლემის ტიტულის მოპოვება უფრო იოლი იქნება.

**— დაოჯახებამ ჩოგბურთის მიმართ თქვენი დამოკიდებულება რამენაირად შეცვალა? (კრაიჩეკის მეუღლე დაფნი დეკერსი ცნობილი მსახიობია, მათ ორი შვილი, 4 წლის გოგონა და 2 წლის ბიჭი ჰყავთ.)**

— ამას წინათ ვიხუმრე, ადრე დასასვენებლად შინ ვბრუნდებოდი, ახლა კი ტურნირებზე დავდივარ-მეთქი. ზოგჯერ ბავშვები მასავათებენ-ხოლმე, მათ იმხელა ყურადღება სჭირდებათ, თანაც ჩემი ვაჟიშვილი ბოლო ხანებში სერიოზულად ავადმყოფობდა. მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი მოგვარდა, თურმე ორივენი ტელევიზორში მიცქერდნენ და ბჭობდნენ, ეს მათი მამა იყო თუ არა, ბოლოს „ტელევიზორის მამა" შემარქვეს გასარჩევად.

**— ამ ხანგრძლივი შესვენების დროს ექიმებთან კონსულტაციების გარდა რითი იყავით დაკავებული?**

— დრო მართლაც თავზესაყრელად მქონდა, განსაკუთრებით შარშან ზამთარში, როდესაც სამი თვის მანძილზე ვარჯიშიც კი ამიკრძალეს. შედეგად დაუსწრებლად იურიდიული ხარისხის მისაღებად დავიწყე სწავლა, ორი გამოცდა უკვე ჩავაბარე, სულ რაღაც 50 დამრჩა და დიპლომსაც მომცემენ (იღიმება). კიდევ იახტის ტარებას ვსწავლობდი, სულ მალე ზღვაში დამოუკიდებლად შემეძლება გასვლა. შეიძლება გაისად ან ორი წლის შემდეგ ერთი ჰოლანდიური საჩოგბურთო ტურნირის გენერალური დირექტორის თანამდებობაც შევითავსო.

**— როგორც თავად იურისტმა, მინდა გკითხოთ: სამართლის გამოცდის ჩაბარება უფრო ძნელია თუ უიმბლდონის მეოთხედფინალში გასვლა?**

— თუ დახარჯული დროის რაოდენობითა და ნერვიულობით ვიმსჯელებთ, აშკარად გამოცდის ჩაბარება (იღიმება).

**— პროფესიონალი 90-იანების დასაწყისში გახდით და იქიდან მოყოლებული არაერთი დიდი ჩოგბურთელის წინააღმდეგ გითამაშიათ. მათ შორის ყველაზე გამორჩეული ვინ იყო?**

— ძნელი სათქმელია. როგორღაც პიტ სამპრასის წინააღმდეგ ყოველთვის წარმატებულად ვირჯებოდი, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ჩოგბურთელთან თითქმის სულ ვაგებდი. ისე, ალბათ, მაინც ბორის ბეკერი და ანდრე აგასი უნდა დავასახელო.

ჰოლანდიელთან საუბრის ასე სწრაფად დასრულება არაფრისდიდებით არ მინდოდა, მაგრამ კრაიჩეკის გვერდით მოულოდნელად აღმოჩენილმა „ოლ ინგლენდ კლაბის" უნიფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა ჩოგბურთელს მხარზე ხელი დაადო და სატელევიზიო ინტერვიუებისთვის გამოყოფილი ოთახებისკენ გაყოლა თხოვა, BBC გველოდებაო. ხელის ჩამორთმევისა და წარმატების სურვილის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა.

# უიმბლდონი 2002

# ტრადიცია ტრადიციაა

## უმალ კაცები კაბას ჩაიცმევენ, ვიდრე ინგლისელი უიმბლდონს მოიგებს



რიჩარდ კრაიჩეკმა წლეულს საკუთარი თავიც გაოცა

REUTERS უიმბლდონიდან

### მოლოდინის ასი წელი

„ოლ ინგლენდ კლაბში" მთავარი ჯილდოს თავზევით აწევა მასპინძელს არც წლეულს უწერია. 1936 წელს ფრედ პერის ტრიუმფიდან მოყოლებული, ვაჟებს შორის გაჩემპიონება ვერცერთ ინგლისელს ვერ მოუხერხებია და ამ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა ვერც ამჯერად მოახერხა ტიმ ჰენმანმა.

27 წლის ოქსფორდელი კარიერაში უკვე მეოთხედ გახლდათ ნახევარფინალში, მაგრამ ისევე, როგორც მანამდე ორჯერ პიტ სამპრასმა და ერთხელაც გორან ივანიშევიჩმა, ტიმისა და სრულიად ინგლისის იმედებს ამჯერად მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ლეიტონ ჰიუიტმა გადაუსვა ხაზი.

ხუთ პირად შეხვედრაში აქამდე ჰენმანს ავსტრალიელისთვის ერთადერთი სეტი მოეგო, ასე რომ, თანამემამულის გამარჯვებაში დარწმუნებულმა უიმბლდონის 1987 წლის ჩემპიონმა პატ კეშმა ინგლისელ კომენტატორ სიუ ბარკერს სანაძლეოც კი დაუდო, თუ ჰენმანი ფინალში გააღწევდა, იგი ნებისმიერ კაბაში გამოწყობილი კლუბის ყველა კორტს შემოირბენდა. ბარკერმა ავსტრალიელს მოკლემკლავიანი წითელი მინიც კი შეურჩია წინასწარ, მაგრამ ამ შთამბეჭდავი სანახაობის ხილვის ბედნიერების მომსწრენი ვერ გავხდით — კეშმა კარგად იცოდა, რასაც ამბობდა.

შარშანწინ, ცენტრალურ კორტზე უიმბლდონის ვაჟთა ნახევარფინალის ცქერისას კლაუდია შიფერთან საუბარი მოვახერხე, ასე რომ, გადატენილი პრეს-ლოჟის ნაცვლად ისევ მახლობელ ცარიელ ადგილებზე რომ გამამწესეს, თვალების აქეთ-იქით ცეცება დავიწყე. სამწუხაროდ, მაღალი, ქერა და ჩამქრალი სახის სუპერმოდელები პარასკევს „ოლ ინგლენდ კლაბში", ეტყობა, არავის მიუწვევია.

შედეგად მთელი ყურადღების გამახვილება კორტზე მიმდინარე მოვლენებზე მომიხდა, იქ კი ინგლისელი გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო რამ ნაღდად არ ხდებოდა. ქარივით სწრაფი და არაჩვეულებრივი სიზუსტით გამორჩეული ჰიუიტის დამარცხება უკანა ხაზიდან სტაბილური და მძლავრი თამაშით თუ შეიძლება, რითაც ჰენმანი აშკარად ვერ დაიკვეხნის. ინგლისელს გაცილებით უკეთ ბადესთან გარჯა ეხერხება, თუმცა აქ, აბა, რას გახდები, როდესაც მეტოქე ბურთთან შეხების საშუალებასაც კი არ გაძლევს.

ჰიუიტი წინ გასულ მეტოქეს გამუდმებით აწვარებდა მიუწვდენელი შემოვლებულებით, იარებზე მარილის მოყრის მიზნით კი აქა-იქ აბრაგანებითაც აბრიყვებდა. ტრიბუნებზე შეკრებილებმა თავიანთი კერპის გასამხნევებლად შეძახილებისა და ტაშისცემის უამრავი კომბინაცია მოსინჯეს, თუმცა ჰენმანის დახმარება ამ დღეს ლი პარვი ოსვალდის მაგალითის მიბაძვით თუ შეიძლებოდა.

წვიმის გამო ორი საათით გვიან დაწყებული მატჩი მორიგი თავსხმის გამო მაშინ შეწყდა, 5:5-დან მოყოლებული ჰიუიტმა ზედიზედ ხუთი გეიმი რომ მოგო. შესვენებას ინგლისელისთვის დიდი ხეირი არ დაუყრია — ოზის უპირატესობა თამაშის განახლების შემდეგაც აშკარა იყო. გამარჯვების პირას მყოფი ჰიუიტი მცირედით განერვიულდა და საკუთარი მოწოდების დაკარგვით მასპინძლებს იმედის ნაპერწკალი გაუჩინა, თუმცა ეს იყო და ეს — ავსტრალიელი მაშინვე მოეგო გონს და მატჩი გამარჯვებამდე სულ რამდენიმე წუთში მიიყვანა 7:5, 6:1, 7:5.

„ლეიტონი ისე თამაშობს და სხვადასხვა საფარს ისე სწრაფად ეგუება, დღეისთვის უცილობლად საუკეთესოა მსოფლიოში. მან ეს დღეს კორტზეც დაამტკიცა, ჩემს ყველა დარტყმაზე მას შესაფერისი პასუხი მოეძებნებოდა — მგლოვიარე გამომეტყველებით განუცხადა ჰენმანმა მწუხარე ინგლისელ ჟურნალისტებს — ის თუ მიშველიდა, ყოველ მოწოდებაზე ეისი ჩამეგდო."

გრაფიკში ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად ორგანიზატორებმა ქსავიე მალისისა და დავიდ ნალბანდიანის ნახევარფინალი პირველ კორტზე გაამწესეს, მაგრამ მისი დასრულება მაინც ვერ მოხერხდა — საღამოს 9 საათზე მატჩის გადადებისას ანგარიში სეტებში თანაბარი — 2:2 იყო.



ვის ეგონა: დავიდ ნალბანდიანი ნახევარფინალშია

REUTERS უიმბლდონიდან



ტიმ ჰენმანმა ინგლისს ვერ გაუმართლა

REUTERS უიმბლდონიდან



REUTERS უიმბლდონიდან

**ვაჟები**

**ნახევარფინალი**

ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) 7:5, 6:1, 7:5

ქსავიე მალისი (27, ბელგია) — დავიდ ნალბანდიანი (28, არგენტინა) 6:7 (2:7), 4:6, 6:1, 6:2 ავდრის გამო გადაიდო



# საპრეზიდენტო

დიდ სავაჭრო სამიტზე შეკრებილან სამხრეთამერიკელი პრეზიდენტები: არგენტინისა ედუარდო დუალდე (მარცხნიდან მეორე), ჩილესი რიკარდო ლაგოსი (მარცხნიდან პირველი), ურუგვაისა ხორხე ბატლი და პარაგვაისა ლუის გონსალეს მაკი (ზის). ბრაზილიის პრეზიდენტი ენრიკე კარდოსო რომელია, თავადაც მიხვდებით. შეხვედრის ადგილი კი ბუენოს აირესის ოლივოსის სასახლეა.

# ბელფორიანთ სიხარული

ჰოკეის განთქმულ მეკარეს ედი ბელფორს ახალი კონტრაქტისთვის გამოუკრავს ხელი. ორწლიანი პირობით ედი 13,5 მილიონ დოლარს მიიღებს „ტორონტო მეიპლ ლივზისგან". ბელფორს ამ გუნდში არანაკლებ ცნობილი კერტის ჯოზეფი შეუცვლია. ეშლი ბელფორი კი გახარებულია. ხუმრობაა? ქმარმა მშვენიერი კონტრაქტი გაახერხა.






# ასევე

პროფესორთა შორის უპროფესორესი: „ლივერპულის" მენეჯერი ჟერარ ულიე ამიერიდან ლივერპულის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია. თავად მენეჯერმა ამ ამბავს „ძალიან დიდი პატივი" უწოდა და სიხარულიც არ დამალა. ბოლო ერთ კვირაში ულიე მეორე ფეხბურთის მწვრთნელია, პროფესორობა რომ მიანიჭეს. პირველი, ცხადია, კორეელთაგან გაღმერთებული გუს ჰიდინკი იყო.

# რონალდო და რონალდომანი

ახლა დასვენებაც შეიძლებაო, თქვა რონალდომ და რიო დე ჟანეიროს გავეას გოლფ კლუბს მიაშურა. გოლფი განტვირთვის საუკეთესო საშუალებააო, ასე უთქვამს ვარსკვლავს. დასვენებისთვის არ სცხელა ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის გამზადებულ მეფორმულეს, რუბენს ბარიკელოს. თანამემამულეთა გამარჯვებით გახარებულ მრბოლს რონალდოს მაისურა მოურგია და ზედ ფინალური მატჩის ანგარიშიც წაუწერია.





სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge